პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 270 (20011) კვირა, 22 ნოემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ვიყოთ ავანგარდში, ვიმუშაოთ ახლებურად

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს პარტიული მუშაობის ამოცანები გარდაქმნის ახალი ეტაპის — მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისა და რადიკალური ეკონომიკური რეფორმის მთავარ მიმართულებათა უზრუნველყოფის საქმეში. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები და განყოფილებათა გამგეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის, სკკპ ცენტრალური პარტიზანი კომისიის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

თათბირის გახსნისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი მოკლედ შეეხო მის მიზნს:

— დღეს ჩვენ გადავწყვიტეთ, — თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, — შევხვედროდით აქ, ჩვენს პარტიულ სახლში ერთმანეთს ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა, განყოფილებათა გამგეები, პარტიული აპარატის ხელმძღვანელები, და გველაპარაკა თემაზე, რომელიც ახლა დღის წესრიგში რეალურად, საფუძვლიანად დადგა.

საქმე ეხება პარტიის როლს გარდაქმნაში მის ახალ, მეორე ეტაპზე. პარტიის როლის თემა, არსებითად, არასოდეს მოხსნილა, მაგრამ დღეს იგი ისეთ დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, როგორც არასდროს. სავსებით ცხადია, რომ გარდაქმნის ამ ეტაპზეც სოციალისტური მშენებლობის საქმეს უპარტიოდ წინ სწრაფად ვერ წავწევთ.

გარდაქმნის პირველ ეტაპს თუ შევაჯამებთ, შეგვიძლია უყოყმანოდ ვთქვათ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა, პოლიტბიურომ და სამდივნომ, ცენტრალური კომიტეტის აპარატმა, პარტიულმა კომიტეტებმა რესპუბლიკებში და ადგილებზე იგი საერთოდ წარმატებით განახორციელეს. სირთულე ის გახლავთ, რომ არსებითად ამ ეტაპზე ყველაფერი ახალი იყო — გარდაქმნის გზების ძიება, მმართველობის, მუშაობის მეთოდების არჩევა, მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტები. ვფიქრობ, თეორიული და პოლიტიკური მუშაობის თვალსაზრისითაც და საქმისადმი პრაქტიკული მიდგომის თვალსაზრისითაც პარტია ამ ეტაპზე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ჩვენ სწორად შევნიშნეთ: როგორც კი სადმე ჩამორჩენას უშვებენ, დაუყოვნებლივ ვგრძნობთ დანაკარგებს, შეფერხებას, და მაშინ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია კვლავ ძველ მეთოდებს მიმართავს, რათა აღიკვეთოს, არ დაუშვას რაღაც ნეგატიური ტენდენციების გამოვლინება, ანუ მოქმედებს პრინციპით „არ გაუშვა“, „დაიჭი“ და ასე შემდეგ.

მაგრამ ახლა ასეთი მეთოდები აღარ ვარგა. რაკი დემოკრატიზაცია გავშალეთ და ხალხის პოტენციალს ვრთავთ გარდაქმნის ყველა პროცესში, აღარ შეიძლება საქმის ძველებურად გაძღოლა. ეს მხოლოდ და მხოლოდ აფეთქებებს საზოგადოებას, მოშლის ადამიანებს, ნერვიულობას შეიტანს ჩვენს პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ატმოსფეროში, საზოგადოებრივ შეგნებაში.

ახლა, როცა გარდაქმნის ახალ, ძალზე რთულ ეტაპს მივუახლოვდით, რომლის ქვაკუთხედს შეადგენს გეზი, ერთმანეთს რომ უხამებს ორ ურთიერთდაკავშირებულ, ურთიერთგანპირობებულ მხარეს — საზოგადოების შემდგომ დემოკრატიზაციასა და რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმას, ჩვენი მუშობაც სხვა სიჩქარეს გადადის. დღემდე ჩვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ვაზუსტებდით, ვამტკიცებდით, ვასაბუთებდით გარდაქმნის აუცილებლობას. ვეძებდით ახალ მიდგომებს, ვმუშაობდით რადიკალური ეკონომიკური რეფორმის დოკუმენტებზე. და ხალხმაც მხარი აგვიბა, მხარი დაუჭირა ჩვენს ძიებას, პარტიის გადაწყვეტილებებს.

დღეს, როცა დემოკრატიული პროცესები გაღრმავდება, როცა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ჩვენი პროგრამა ამოძრავებს მთელ საზოგადოებას, შეიხება მილიონთა ინტერესებს, პარტიის წინაშე კიდევ უფრო რთული ამოცანები დადგება.

ჩვენ გულდასმით უნდა გავიაზროთ ჩვენი მუშობა ამ ახალ ეტაპზე. აქ იმპროვიზაციებით ფონს ვერ გავალთ. იმის თქმა, ისე ვიმუშავებთ, როგორც ვმუშაობდითო, სწორი არ იქნება, რადგან დღეს ასე უკვე აღარაფერი გამოგვივა. უბრალოდ ზემოქმედება, უბრალოდ ბრძანებების გაცემა, უბრალოდ ყველას რაიკომში გამოძახება უვარგისი მეთოდია, ვინაიდან სამეურნეო ანგარიშის მეშვეობით ჩვენ წარმოებისა და მართვის ყველა რგოლის — დარგების, გაერთიანებების, კოლექტივების, თითოეული მშრომელის ინიციატივას ვაძლევთ გასაქანს. ჩვენ ვამოქმედებთ საბჭოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოტენციალსაც. მაშასადამე, სხვა მიდგომებია საჭირო.

პრაქტიკულად საკითხი ისე დგას, რომ პარტიამ ახლანდელ ეტაპზე რამდენადმე ხელახლა უნდა გაიაზროს თავისი, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის როლიც. ხელახლა გაიაზროს, რათა მისი მეთოდები და მოქმედების ხერხები ახალ მოთხოვნებს შეეფარდებოდეს. ეს შემდეგ უნდა გადაიქცეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სამდივნოს, განყოფილებების მუშაობადაც, და რესპუბლიკური თუ ადგილობრივი პარტიული ორგანოების მუშაობადაც.

ახალ პირობებში პარტიამ უნდა მოძებნოს ახალი მიდგომებიც, ამოცანათა გადაწყვეტის ახალი მეთოდები. ამის განხილვას გულისხმობს, არსებითად, დღევანდელი შეხვედრის ჩანაფიქრი. დარწმუნებული არა ვარ, რომ ახლა მკაფიოდ წარმოგვიდგენია მომავალი მუშაობის ყველა დეტალი. რატომ არა ვარ დარწმუნებული? იმიტომ, რომ ყველაფერი მკაფიოა მხოლოდ იმისათვის, ვინც არაფრის შეცვლას არ აპირებს. მაშასადამე, ისევ ისე მუშაობს, როგორც წინათ მუშაობდა. ასე საქმე ვერ წავა. სხვაგვარად პარტიას ვერ გაუგებენ. მით უმეტეს, რომ საზოგადოება დემოკრატიზაციის, ახალი სამეურნეო მექანიზმისა და სამეურნეო ანგარიშის ათვისების პროცესში უკვე იცვლება და კვლავაც შეიცვლება.

დღეს პარტიული ავტორიტეტი შეიძლება გაიზარდოს უწინარეს ყოვლისა ძალების გაერთიანების და იმის უნართან ერთად, რომ დავეხმაროთ ადამიანებს გარდაქმნაში, თავიანთი ადგილის პოვნაში. ესე იგი, ჩვენ წინანდელზე მეტი სიღრმით და ძალით უნდა ვუძღვნიდეთ პარტიულ საქმეს. ამასთან დაკავშირებით უნდა ვნახოთ, როგორ არის პარტია მზად ახალ პირობებში სამუშაოდ.

ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოეწყოს პარტიული კომიტეტების პლენუმები და პარტიული კრებები, რომლებზეც მოისმენენ ხელმძღვანელი არჩევითი ორგანოების ანგარიშებს. ისინი ისე უნდა მოვამზადოთ, რომ დაეხმარონ პარტიას, ავიდეს ისეთ დონეზე, საიდანაც მას შეეძლება გულდაჯერებით განახორციელოს ჩვენი გარდაქმნის მეორე ეტაპი.

დასმული საკითხების განხილვისას თათბირზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. ნ. ბირიუკოვი, ა. თ. დობრინინი, ვ. ი. დოლეიხი, ლ. ნ. ზაიკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ი. კ. ლიგაჩოვი, ვ. ა. მედვედევი, ვ. პ. ნიკონოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ვ. ა. გრიგორიევი, ა. ი. ვოლსკი, ა. გ. მელნიკოვი, ი. ა. სკლიაროვი, ნ. ა. სტაშენკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ე. ხ. რაზუმოვი.

გარდაქმნის ახალ ეტაპზე, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა, წარმატება მთლიანად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში პარტიული ორგანიზაციები ადამიანის ფაქტორის, მისი შემოქმედებითი პოტენციალის წარმოჩენასა და გაკეთიერებას, კომუნისტების ავანგარდული როლის საქმით უზრუნველყოფას.

სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა ვაფასებდეთ უმნიშვნელოვანეს საერთო-პარტიული კამპანიის — პარტიის რაიონული, საოკრუგო, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პლენუმებსა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე არჩევითი პარტიული ორგანოების ანგარიშების მთელ მომზადებასა და ეფექტიანობას. გარდაქმნის პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების ანალიზმა, მუშაობაში მოპოვებული მიღწევებისა და დაშვებული შეცდომების პრინციპულმა განხილვამ უნდა გააქტიუროს მთელი არჩევითი პარტიული აქტივის საქმიანობა, ლეტარგიული მდგომარეობიდან გამოიყვანოს ისინი, ვინც ვერ შეელევა მუშაობის ძველ მეთოდებს, გადაჭრით გამოავლინოს ჩვენი რეზერვები და აიყვანოს მთელი პარტიული კომიტეტების საქმიანობა გარდაქმნის ახალი ეტაპის მოთხოვნათა დონეზე.

პარტიული მუშაკები, თქვეს თათბირის მონაწილეებმა, უმჭიდროესად უნდა იყვნენ დაკავშირებული ცხოვრებასთან, კომპეტენტურად მსჯელობდნენ გარდაქმნის მიმდინარეობაზე, ასრულებდნენ არა რევიზორების, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ორგანიზატორების, კონსულტანტების, მრჩევლების, თანაშემწეების როლს, ნაკლებად ამრავლებდნენ ქაღალდს, ოპერატიულად ასხამდნენ ხორცს პარტიის მიერ მიღებულ ფუძემდებელ გადაწყვეტილებებს.

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ისეთი საკითხები, როგორიცაა რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, ახალი სამეურნეო მექანიზმის დანერგვა, მისი სრულყოფა, ცენტრალური და ადგილობრივი მართვის ორგანოების სტრუქტურის ცვლილებათა უსწრაფესი დამუშავება, სამეურნეო ცხოვრებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ მიღებული „ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებების“ გეგმაზომიერი დანერგვა. მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ათვისების სიმძიმის ცენტრი ინაცვლებს შრომითს კოლექტივებში, მიზნად ისახავს იმ პრინციპების დაუფლებას, რომლებიც ჩამოყალიბებულია კანონში სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მომდინარე სახალხო-სამეურნეო გეგმებიც — მათი შესრულებით ისხამს ხორცს გარდაქმნის ამოცანები, მიიღწევა რეალური შედეგები ადამიანების საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. განსაკუთრებით მუყაით და თანამიმდევრულ მუშაობას მოითხოვს ისეთი ყველაზე საარსებო ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა სასურსათო მომარაგება, ბინათმშენებლობა, სახალხო მოხმარების საქონლით გამოშვების ზრდა და მომსახურების სფეროს გაფართოება.

გარდაქმნის მეორე ეტაპი, განვითარებადი ეკონომიკური რეფორმა, საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესები, ხაზგასმით აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა, გადიდებულ მოთხოვნებს უყენებენ მთელი კადრების მუშაობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის შემდეგ ცვლილებები ამ სფეროში ჯერ მხოლოდ დაისახა, ძირეული ძვრები არ მომხდარა. პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო აქტიურად უნდა იმოქმედონ, რათა ხელმძღვანელ კადრებს, ყველა მშრომელს ჩაუნერგონ მეტი პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, შეუქმნან მათ დამოუკიდებლობის, ინიციატივისა და სოციალისტური გერგილიანობის გამოვლინების პირობები.

ახალი სამეურნეო მექანიზმის მოქმედების პირობებში მუშაობაზე შრომითი კოლექტივების მომავალი საყოველთაო გადასვლა დღის წესრიგში აყენებს იმის აუცილებლობას, რომ ფართოდ დაეუფლოთ ეკონომიკურ ცოდნას, კერძოდ, სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების საკითხებში. საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესები აუცილებელს ხდიან პოლიტიკური ცოდნის, მსოფლმხედველობითი მეცნიერებების მთელი კომპლექსის დაუფლების დონის თვისებრივ ამაღლებას.

კადრების სწავლების, მომზადებისა და გადამზადების ორგანიზაციასთან დაკავშირებული უნდა იყოს მკვეთრი შემობრუნება კადრებთან მუშაობის დემოკრატიზაციისაკენ, მათი ინულმოდგინე შერჩევისა და დაწინაურებისაკენ. კონტროლი ქვემოდან, ხელმძღვანელთა ანაგარიშვალდებულება, მათი შეცვლა, კრიტიკა და თვითკრიტიკა ყველგან უნდა იქცეს პარტიული ცხოვრების ნორმებად. კადრების მუშაობის შეფასების კრიტერიუმი, ხაზგასმით აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა, ერთი უნდა იყოს — კონკრეტული საქმეები გარდაქმნაში.

დემოკრატიის შემდგომი გაშლა, გაღრმავება საარსებოდ სჭირდება პარტიასა და მთლიანად საზოგადოებას. თათბირზე აღინიშნა, რომ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის წინ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გულახდილი დიალოგი ადამიანებთან, კომპეტენტური პარტიული სჯა-ბაასი გარდაქმნის პრობლემებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მწვავე საკითხზე, მშრომელთა სოციალური შემოქმედების ყოველმხრივი განვითარება. ახალი იმპულსი უნდა შეეძინოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში დამკვიდრებულ ყველა დემოკრატიულ პრინციპსა და ნორმას, სერიოზულად გავაუჯობესოთ კოლექტიური მუშაობის პრაქტიკა, გავაძლეროთ არჩევითი აქტივის როლი, რომელიც საქმით უნდა იყოს სრულუფლებიანი პარტიული ცხოვრების ყველა საკითხის გადაწყვეტაში.

გარდაქმნის ახალ ეტაპზე, თქვეს ორატორებმა, „განსაკუთრებით საჭიროა საჯაროობა, საზოგადოებრივი აზრის კონტროლი, არსებული ნაკლოვანებების აშკარა და კონსტრუქციული კრიტიკა, ყოველივე საგულისხმოს ფართოდ გამოყენება, რასაც გარდაქმნის პრაქტიკა წარმოშობს. მუდმივ პარტიულ ყურადღებასა და დახმარებას საჭიროებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც ამ ეტაპზეც აქტიურად უნდა ატარებდნენ პარტიის პოლიტიკას მასებში, იდეოლოგიურად უზრუნველყოფდნენ გარდაქმნის ამოცანების გადაწყვეტას.

თათბირზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა მ. ს. გორბაჩოვმა.

— აზრთა გაზიარება, — თქვა მან, — კარგ იმპულსებს გვაძლევს შემდგომი განსჯისათვის, იმისათვის, რომ ვეძებოთ და ვიპოვოთ პასუხები მთავარ კითხვაზე: როგორია გარდაქმნის დღევანდელ ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლის გაძლიერების გზები?

ჩვენი მსჯელობა გამსჭვალული იყო ყველა ამხანაგის სურვილით, რომ გარდაქმნის საქმემ წინ წაიწიოს. და მე ვფიქრობ, ჩვენ გადავდგით ნაბიჯი იმის გაცნობიერებაში, თუ სად ვიმყოფებით და როგორ უნდა ვიმოქმედოთ ახლა.

დღევანდელი სჯა-ბაასის შეჯამებისას მინდა გამოვთქვა რამდენიმე მოსაზრება.

პირველი. ამასწინანდელმა საუბილეო დღეებმა განვლილისა და მიღწეულის გააზრების ახალ მიჯნებზე გაგვიყვანა. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისტორიის გაკვეთილებში უფრო ღრმა გარკვევისა და იმის თვალსაზრისითაც, რომ მთელ საზოგადოებაში ჩამოყალიბდეს მყარ სამეცნიერო ბაზაზე, ობიექტურობასა და წარსულის შესახებ სიმართლეზე დაფუძნებული ისტორიული შეგნება.

ჩვენი ისტორიის პასუხისმგებლურმა მეცნიერულმა, პარტიულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა ობიექტურად შეგვფასებინა ჩვენი ცხოვრების ყოველი ეტაპის ადგილი და მნიშვნელობა, ჯერჯვანი მიგვეგო საბჭოთა ადამიანების ყოველი თაობის როლისადმი, რომლისკენაც მივდივართ. წარსულს ვიაზრებთ დღევანდელი დღის ინტერესებისათვის და ამით ვსახავთ ჩვენი მოძრაობის პერსპექტივებს. ეს მეტად მნიშვნელოვანია. ეს შემდგომშიც უნდა განვაგრძოთ.

მეორე. შესაძლოა, საიუბილეო დღეებში ყველაზე მეტად დავინახეთ, შევიგნეთ არა მარტო განვლილი გზის, არამედ მომდინარე ეტაპზე ჩვენ მიერ მიღებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა ანალიზის აღმშენებლობითი მნიშვნელობაც, გარდაქმნის გეზის მთელი მნიშვნელობა. ჩვენ უფრო მწვავედ ვიგრძენით, რომ წარმატებული წინსვლა შეუძლებელია ისე, თუ არ გამოვავლეთ სოციალიზმის მთელ პოტენციალს — თანაც არა მარტო სამინაო პოლიტიკის თვალსაზრისით. სწორედ გარდაქმნის კურსით, აქტიური საშინაო პოლიტიკით მივიწევთ ინიციატივიან საგარეო პოლიტიკას, მთელ მსოფლიო გაერთიანებას მივეცით ძლიერი იმპულსი მსოფლიოს ბედზე, სოციალურ არჩევანზე, საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათზე ფიქრისათვის.

რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ ვაჩვენო საკუთარი ხალხის წინაშე, მთელი მსოფლიოს წინაშე გარდაქმნის ბედისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პასუხისმგებლობის სიღრმე და მასშტაბი.

ეს ერი არის: პარტიის როლი მხოლოდ მაშინ გაიზრდება, თუ მთელი მისი საქმიანობა, მათ შორის პოლიტიკის შემუშავება, საკადრო მუშაობა, ორგანიზაციული და იდეოლოგიური უზრუნველყოფა, შეესაბამება ახლანდელი პერიოდის — გარდაქმნის ახალი, მეორე ეტაპის ამოცანების სიახლესა და მასშტაბურობას.

გარდაქმნის ძლევამოსილი მოძრაობის ცვალებადი ამოცანები ახალ მოთხოვნებს აყენებს საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის წინაშე, ურომლისოდაც ეს პროცესები ან ხელმძღვანელს ეკისრება, არაერთხელ მოჰყოლია სერიოზული წინააღმდეგობები, კონფლიქტი პარტიის გეზთან. ამ შემთხვევებში პირად ამბიციებს, თუ კი ისინი ზღვარს გადადიან და ფსევდორევოლუციური ფრაზით და პოზით, უმაღლესი მიზნებისა და ღირებულებების გამო მოჩვენებითი შეშფოთებით ინიღბებიან, დიდი ვნება მოაქვთ საქმისათვის.

ჩვენ დღეს ვიცით სხვა რამეც: კონსერვატიზმი და ხელოვნური ავანგარდიზმი, რაგინდ განსხვავებულიც უნდა იყოს მათი რიტორიკა, საქმით საბოლოოდ უსათუოდ ერწყმიან ერთმანეთს, ასეთია პოლიტიკის დიალექტიკა. ისინი ერწყმიან ერთმანეთს სინამდვილის მიმართ ძალმომრეობის ნიადაგზე, ვინაიდან ლამობენ მის მომწყვდევას ჩიხში: ერთნი — ძველი, დრომოჭმული ფორმებისა და დოგმების, მეორენი — აბსტრაქტული სქემების ჩიხებში, ესოდენ საშიში რომ არიან თავიანთი დემაგოგიური ავრესიულობით და ილუზიათა სიცარიელით.

წარსულის ანალიზი დიდი მეცნიერებაა. ჩვენს წარსულში არის სოციალიზმის გმირულ მიღწევათა ფესვებიც, რომლებიც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდნენ ინდუსტრიალიზაციის, დიდი სამამული ომისა და ომისშემდგომი მშენებლობის ეტაპებზე. და, როცა დღეს გარდაქმნის ამოცანებზე ვფიქრობთ, მოვალენი ვართ ვხელდავდეთ მთავარს: ისტორიის მამოძრავებელი, გადამწყვეტი ძალა ხალხია. ყველაფერს ხალხი აკეთებს. ამით და მხოლოდ ამით უნდა ვხელმძღვანელობდეთ ყველანი ჩვენი საქმისა და გეგმის შესრულების დროს.

ისტორიული ანალიზი დაგვეხმარა უფრო მკაფიოდ დაგვეხახა იმ მოვლენების ფესვებიც, რომლებსაც მოიცავს ისეთი ცნება, როგორიცაა დამუხტულმა ბრძანებელმა ზეგანი. ბევრი მათგანიც იმ წლებიდან მოგვდევს, ჩვენ უფრო ცხადად დავინახეთ, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ აღარ განმეორდეს წარსული, რომ დროულად აღიკვეთებოდეს ნეგატიური მოვლენები. ჩვენ გამოვიტანეთ უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნა: ბევრი დანაკარგი განვიცადეთ იმის გამო, რომ ჩვენ რეფორმებს წარსულში თან არ სდევდა ფართო პოლიტიკური ცვლილებები საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის მხრივ.

წარსულის ანალიზმა კარგი ბაზა მოგვცა იმისათვის, რომ ნამდვილად — გამოცდილების მეშვეობით, თეორიული დამუშავების მეშვეობით — უფრო ფართო, უფრო მასშტაბური წარმოდგენა შეგვქმნოდა სოციალიზმზე, საზოგადოების იმ. ახალ თვისებაზე, რომლისკენაც მივდივართ. წარსულს ვიაზრებთ დღევანდელი დღის ინტერესებისათვის და ამით ვსახავთ ჩვენი მოძრაობის პერსპექტივებს. ეს მეტად მნიშვნელოვანია. ეს შემდგომშიც უნდა განვაგრძოთ.

მეორე. შესაძლოა, საიუბილეო დღეებში ყველაზე მეტად დავინახეთ, შევიგნეთ არა მარტო განვლილი გზის, არამედ მომდინარე ეტაპზე ჩვენ მიერ მიღებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა ანალიზის აღმშენებლობითი მნიშვნელობაც, გარდაქმნის გეზის მთელი მნიშვნელობა. ჩვენ უფრო მწვავედ ვიგრძენით, რომ წარმატებული წინსვლა შეუძლებელია ისე, თუ არ გამოვავლეთ სოციალიზმის მთელ პოტენციალს — თანაც არა მარტო სამინაო პოლიტიკის თვალსაზრისით. სწორედ გარდაქმნის კურსით, აქტიური საშინაო პოლიტიკით მივიწევთ ინიციატივიან საგარეო პოლიტიკას, მთელ მსოფლიო გაერთიანებას მივეცით ძლიერი იმპულსი მსოფლიოს ბედზე, სოციალურ არჩევანზე, საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათზე ფიქრისათვის.

რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ ვაჩვენო საკუთარი ხალხის წინაშე, მთელი მსოფლიოს წინაშე გარდაქმნის ბედისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პასუხისმგებლობის სიღრმე და მასშტაბი.

ეს ერი არის: პარტიის როლი მხოლოდ მაშინ გაიზრდება, თუ მთელი მისი საქმიანობა, მათ შორის პოლიტიკის შემუშავება, საკადრო მუშაობა, ორგანიზაციული და იდეოლოგიური უზრუნველყოფა, შეესაბამება ახლანდელი პერიოდის — გარდაქმნის ახალი, მეორე ეტაპის ამოცანების სიახლესა და მასშტაბურობას.

(დასასრული მე-2 გვ.).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

საიუბილეო ვახტი გრძელდება

ბორის რაიონის მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის მშრომელებმა ორი წლის სახელმწიფო გეგმები უკვე შეასრულეს.

ათ თვეში კოლექტივმა დავალების გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდა 3.500 ათასი ცალი კვერცხი და 89 ტონა ხორცი. საშუალოდ მოქცეულზე მიღებულია 176 ცალი კვერცხი, რაც გეგმას 14 ცალით აღემატება.

კოლექტივის წინსვლა მნიშვნელოვნად განაპირობა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულმა ფორმებმა, კოლექტიური საიჯარო მეთოდით შრომამ. № 1 სამრეწველო საიჯარო ბრიგადამ, რომელსაც თ. სარაული ხელმძღვანელობს, 7 ნოემბრისათვის აწარმოვა 32.235 ათასი ცალი კვერცხი, რაც ორი წლის სახელმწიფო დავალებაზე 379 ათასით მეტია.

* * *

მეთოთრმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს ჭიათურის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების მშრომელებმა, ამასთან შრომის ნაყოფიერება 12,1 პროცენტით გაზარდეს და ოთხი სამუშაო დღე დაზოგილი საწვავით იშრომეს.

საწარმოს კოლექტივს განზრახული აქვს წლის ბოლომდე დარჩენილ დროში დამატებით გადაზიდოს ათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი და ზეგეგმითი მოგების დავალება 180 პროცენტით გაანაღდოს.

* * *

ტყიბულის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა 19 ნოემბრისათვის გამოუშვა 17 მილიონ 200 ათასი მანეთის პროდუქცია და ვადაზე ადრე შეასრულა ხუთწლედის ორი წლის გეგმა. სარეალიზაციოდ გაგზავნილი პროდუქციის 85,5 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

საგანგებოდ აქაურ მშრომელებს უფრო მეტი აქვთ განზრახული. ახალი საფერშენტაციო დანადგარი, ძველის ნაცვლად ახალი ღუმელი უფრო უკეთესი შედეგებისათვის ბრძოლის სამუალებას მისცემთ.

მუშათა სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის ქმედითი ღონისძიებები ზორაციულდება: შენდება და გაისად საექსპლოატაციოდ გადაეცემა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მუშათა საერთო საცხოვრებელს კი რამდენიმე ოთახს მიაშენებენ; გაიხსნება ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ატელიე, საყოფაცხოვრებო მომსახურების ატელიე, ქიმწმენდის საამქრო.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის განყოფილებაში წყვეტენ სამეცნიერო პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ახალი სამკურნალო საშუალებების შექმნასთან.

ამ ბოლო წლების მანძილზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სტეროიდული მორმონული პრეპარატების წარმოების დარგში, შეიქმნა ახალი ანტიხლერიროზული, ანტიფერმიული, გულ-სისხლძარღვთა, ანთებითი პროცესების საწინააღმდეგო და სხვა პრეპარატები.

სურათზე: ტრიტერპენული შენაერთების ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი მაია ვუგალეური და ზურაბ ქემოკლიძე გამოყოფილი მლითკოხიდის სტრუქტურის დადგენის საკითხებზე მუშაობენ.

Ფ. კრიმსკის ფოტო.

საქართველო—ზაარი: ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა

20 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ მიიღო ზაარის მხარის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელსაც „სატეკსის“ ფირმის დირექტორი ვ. პრესერი მეთაურობს.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკასა და ზაარის მხარეს შორის, რომლებსაც პარტნიორული ურთიერთობის ხელშეკრულება აკავშირებთ, ისახება საწარმოო და ეკონომიკური თანამშრომლობის რეალური პერსპექტივები. თბილისში ხელმოწერილ ოქმში ჩვენი რესპუბლიკისა და ზაარის მხარის ამ განზრახვის შესახებ აღნიშნულია, რომ შესაძლებელია თანამშრომლობა, კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შექმნილი ტექნოლოგიებით თბილისში ახალი პოლიმერული მასალების, სახლების ფასადებისათვის მაღალხარისხოვანი საღებავების, ლითონპლასტმასის ელემენტების შემუშავებისა და დამზადების დარგში. ნავარაუდევია თანამშრომლობა საგარეო ბაზარზე ისეთი პროდუქციის რეალიზაციაში, როგორიც არის ქართული თამბაქო და შამპანური ღვინოები, მინერალური წყლები, რომლებითაც მდიდარია რესპუბლიკა.

შეხვედრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოს და ზაარის მხარეს აქვთ თანამშრომლობის მრავალი ურთიერთსაინტერესო სფერო, რომლებიც სახავენ იმის კარგ პერსპექტივებს, რომ ერთობლივი მეცადინეობით წარმატებით გადაჭრან ბევრი პრობლემა. ეს კი ხელს უწყობს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობისა და ნდობის განმტკიცებასაც.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე რ. გოგლიძე და სხვა ოფიციალური პირნი.

ინდოეთში გაიხსნა სსრ კავშირის ფესტივალი

დელი, 21 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დელის ჯაგაჰარლალ ნერუს სახელობის სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ინდოეთში სსრ კავშირის ფესტივალი, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს. კულტურისა და მეგობრობის ეს დღესასწაული, ისევე როგორც ინდოეთის ფესტივალი სსრ კავშირში, დაახლოებით ერთ წელიწადს გაგრძელდება. ფესტივალი გახსნილად გამოაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა. მან და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ წარმოთქვეს სიტყვები. შემდეგ გაიმართა დიდი თეატრალიზებული გალა-წარმოდგენა „ჩვენ — საბჭოთა კავშირი“.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პლენუმი

გაიმართა პირველი პლენუმი საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობისა, რომელიც ამ შემოქმედებითი ორგანიზაციის XI ყრილობამ აირჩია. პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ე. ამაშუკელი.

მდივნებად არჩეულნი არიან მ. ახობაძე, ე. ბერძენიშვილი, გ. ბულაძე, ს. გაბელია (აფხაზეთის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე), გ. გუნია, თ. გოცაძე, გ. გუგუშვილი, გ. თოიძე, ხ. ინაიშვილი (საქართველოს მხატვართ

ვიყოთ ავანგარდში, ვიმუშაოთ ახლებურად

(დასასრული)

უბრალოდ არ განხორციელდება, ან ისე არ განხორციელდება, როგორც საჭიროა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ განვლილი ორწელიწად-ნახევარი საფუძველს გვაძლევს გამოვიტანოთ პასუხსაგები დასკვნა, რომ პარტია წარმატებით ასრულებს პოლიტიკური ავანგარდის როლს გარდაქმნის პირველ ეტაპზე. მაგრამ ახლა უნდა ვიაროთ წინ, კონკრეტულად და საგნობრივად გარდავქმნათ ჩვენი პოლიტიკა, სტრატეგიული გეზი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. და აქ კვლავ დგება საკითხი: რით გამოიხატება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლი საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე? პარტიის ავანგარდული როლი გამოიხატება მისი უნარით წარმართოს თავისი მუშაობა ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად, ზუსტად გაითვალისწინოს კონკრეტული ისტორიული ვითარება, დაინახოს ახალი ამოცანები. ამაზე ღირს ფიქრი.

არსებითად, ჩვენს წინაშე დგას ორი ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთგანპირობებული ამოცანა, რომლებიც შეადგენენ გარდაქმნის მეორე ეტაპის ღერძს, საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაცია და რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელება. ეს განვითარების ახლანდელი ეტაპის მთავარი, საკვანძო ამოცანებია.

თუ შევეცდებით დავახასიათოთ ახლო მომავლის, რომელიღაც უახლესი პერსპექტივით მუშაობის მსსტაბები, ცხადია, რომ იგი უდიდესი იქნება. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ დაიწყება ცხოვრებასთან გარდაქმნის კონცეფციის პრაქტიკული შეერთება.

გარდაქმნა — ეს არის მილიონობით ახალი ბინა, ათასობით ახალი სკოლა და საავადმყოფო, თეატრი და სპორტული კომპლექსი, ეს არის სასურსათო მომარაგებისა და საქონლის ხარისხის გაუმჯობესება, ეს არის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია. მაგრამ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ დაბალპული დიდნაყოფიერი შრომით, ორგანიზებულობით, დისციპლინითა და პასუხისმგებლობით, შეკავშირებითა და ერთიანი მოქმედებით. ეს კი ნიშნავს, რომ გარდაქმნა შეეხება თითოეულ კოლექტივს, მთელ საზოგადოებას. დაწყებული ეტაპის წარმატებისათვის ძირითადი პასუხისმგებლობა, ახალი ამოცანების რეალური განხორციელებისათვის მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ტვირთი ეკისრებათ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, პარტიის კადრებს.

საზოგადოების წინაშე მდგომი ამოცანები უნდა გადაეწყვიტოთ იმ კადრებით, რომლებიც დღეს პარტიასა და ქვეყანას ჰყავთ. ეს არ ნიშნავს, რომ უკლებლივ ყველა უნდა დარჩეს თავის სავარძელში. ჩვენი საკადრო კორპუსი ნიადაგ განვითარდება, ისევე როგორც თვით პარტია. საკითხი სხვა რამ არის. მხედველობაში მაქვს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას უნარი შესწევს იკისროს გაზრდილი დატვირთვა და შეასრულოს პოლიტიკური ავანგარდის როლი გარდაქმნის დღევანდელ ეტაპზეც. ჩვენს საზოგადოებას უნარი შესწევს დაიწინაუროს დროის შესაბამისი კადრები. ჩვენი კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დღეს აქტიურად ჩაება გარდაქმნისათვის მუშაობაში.

მაგრამ რა და როგორ უნდა გავაკეთოთ, რომ პარტიის, პარტიული ორგანოების, ჩვენი კადრების საქმიანობა თავისი შინაარსითა და მუშაობის მეთოდებით შეესაბამებოდეს გარდაქმნის ამოცანათა დონეს, ხასიათსა და სიახლეს? სხვანაირად რომ ვთქვათ, რა უნდა ვიღონოთ, რომ დემოკრატიზაციის პროცესი კიდევ უფრო ვითარდებოდეს, ორმავდებოდეს კიდევ უფრო იზრდებოდეს მშრომელთა სოციალური აქტიურობა, რომ წარმატებით ხორციელდებოდეს ეკონომიკური რეფორმის მიზნები?

დარწმუნებული ვარ: იმ პრობლემების მთელი მნიშვნელობის მიუხედავად, რომლებსაც აქ შეეხეთ, ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ პარტიის, თითოეული კომუნისტის როლის გაზრდას გარდაქმნის უზრუნველყოფაში, მისი პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობის, საკადრო მუშაობის გაკეთილშობილებას.

ეს საკვანძო საკითხია, მას ყველა დანარჩენ საკითხზე გავაყვავრთ. ჩვენს განკარგულებაში არ არის იმაზე უფრო სიმდიდრე ინსტრუმენტი, ვიდრე პარტია. გარდაქმნის მეორე ეტაპი, რომლის არსი ის არის, რომ მან რეალურ საქმეებში უნდა ჩაბას მილიონობით ადამიანი, როგორც საჭიროა ისე არ წარიმართება, თუ პარტია არ განავითარებს დემოკრატიულ პროცესს. ვინ წარმართავს ყოველივე ამას და ვინ მისცემს სტიმულს? პარტია. სწორედ პარტიას პასუხისმგებელი დემოკრატიზაციის პროცესის განვითარებისათვის. მაგრამ იმისათვის, რომ ახალი ეტაპის მოთხოვნილებათა გამოხატვა შეძლოს, იგი თავად უნდა იცვლებოდეს.

პირდაპირ ვთქვათ, დღეს ვერ დაგვაკმაყოფილებს პარტიული რიგების, პარტიული ორგანოების, პარტიული კადრების აქტიურობის დონე. აქ უკვე ვხედავთ ერთგვარ ჩამორჩენასაც და გარკვეულ წინააღმდეგობას ცხოვრების მოთხოვნებსა და პარტიული მუშაობის დონეს შორის. მე ამ წინააღმდეგობას გავაანალიზებდი არა პარტიული კადრების, კომუნისტების ბრალდების პოზიციებიდან, არამედ იმ მოთხოვნების პოზიციიდან, რომლებიც დრომ დაგვიხატა. საჭიროა, რომ ანგარიშები გარდაქმნის შესახებ, რომლებიც პარტორგანიზაციებში მიმდინარეობს, დაგვეხმაროს, რათა პარტია გავიყვანოთ საქმიანობის ახალ ეტაპზე.

საქმე ის კი არ არის, რომ ჩვენ გვაყვს უძრაობის წლებში ან უკანასკნელ ხანებშიც კი პარტიას მიტმასნილთა რაღაც პროცენტი. ასეთები ბევრნი არ არიან. ბოლოს და ბოლოს საქმე მათ არ ეხებათ. არიან პარტიის წევრები, რომლებმაც დაკარგეს ინტერესი პარტიული ცხოვრებისადმი, ძლივსძლივობით იხდიან მოვალეობას პარტიულ კრებებზე. ბევრი კომუნისტი უნდა გამოვიყვანოთ მიმდინარე პროცესების შინელებული გაუხრების მდგომარეობიდან. უნდა დავეხმაროთ მათ მიხვდნენ, რომ დემოკრატიზაცია და ეკონომიკური რეფორმა გულისხმობენ გარკვეულ ცვლილებებს პარტიული კომიტეტების ფუნქციებში, პარტორგანიზაციების მუშაობაში, რადგან სხვანაირი ხდება თითოეული ადამიანის, თითოეული სამეურნეო ხელმძღვანელის როლი. ახლა მათ ექნებათ აქტიური, დამოუკიდებელი როლი, გაზრდილი პასუხისმგებლობა: ჩაება, იყავ ბატონ-პატრონი, იმოქმედე.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი რაიკომი ჯერ კიდევ ძველებურად მოქმედებს, თავად კისრულობს ყველა საკითხის გადაწყვეტას. მათ შორის იმ საკითხებისაც, რომლებიც კანონმა უკვე საწარმოს, საბჭოს მიაკუთვნა. ხოლო დანარჩენის გადაწყვეტაში აქტიურად ებმებიან კომკავშირი, ქალთა საბჭოები, ვეტერანთა საბჭოები.

მთელი ხალხი ებმება გარდაქმნისათვის მომრაობაში, რომელიც გამოხატავს მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენის ინტერესებს და აერთიანებს მათ ახალი საზოგადოებისათვის ამ ბრძოლაში.

პარტიამ ასეთ პირობებში უნდა იკისროს არა იმდენად საკითხთა უშუალო გადაწყვეტა, რამდენადაც დაისახოს სხვა, უფრო ძნელი ამოცანა — წარმართოს, კოორდინაცია გაუწიოს, გააერთიანოს, იმპულსი მისცეს მასების სოციალურ აქტიურობას პარტიული ორგანიზაციების, კადრების მეშვეობით, პარტიული კონტროლის მეშვეობით, ქალაქში, რაიონში, კოლექტივში ჯანსაღი, ენერგიით დამუხტული ატმოსფეროს შექმნის მეშვეობით. აი, რისთვის აგებენ ახლა პასუხს პარტიული კომიტეტები, მთლიანად პარტია.

ჩვენ უკვე ბევრი რამ გავაკეთეთ ამ თვალსაზრისით პირველ ეტაპზე. ახლა, მეორე ეტაპზე, ეს პროცესები უნდა გავღრმავოთ, წინ წავწიოთ. ჰოდა უნდა დავეხმაროთ ჩვენი რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების მუშაკებს გაიგონ თავიანთი ეს ახალი როლი. მათ უნდა შეცვალონ მიდგომა, მუშაობის სტილი. მაშინ ისინი უფრო მეტ ავტორიტეტს მოიპოვებენ. სწორედ ასეთი მუშაობა სჭირდებათ ახლა პარტიას, მთელ საზოგადოებას.

რა თქმა უნდა, ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: რას უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება? იგი უნდა გადავიტანოთ პირველადი პარტორგანიზაციებისადმი ყურადღებაზე, იმისადმი ყურადღებაზე, რომ არჩევითი ორგანოები ნამდვილად ამოქმედდნენ, რაზეც ლაპარაკი იყო ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე.

ჯერჯერობით ისინი თავიანთ როლს მთლიანად ვერ ასრულებენ. საჭიროა, რომ კომუნისტებს თითოეულ პლენუმზე, თითოეულ კრებაზე მოჰქონდეთ ადამიანთა აზრები და ჯერ ყობიდნენ, ყველაფერი ის, რაც ხალხს აწუხებს. სამწუხაროდ, არჩევითი პარტიული ორგანოები ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ინერციის, კონსერვატიზმის, ზედმეტი ორგანიზებულობისაგან. და სანამ ამას არ შევცვლით, წავაწყდებით სიტუაციას, რომელზეც სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე ამხ. ბ. ნ. ელცინის მუშაობის სტილისა და მეთოდების შესახებ თქვა საქალაქო კომიტეტის წევრმა ამხ. ა. ს. ელისეევმა, და სხვებმაც თქვეს: სად ვიყავით ჩვენ, ბიუროს წევრები, საქალაქო კომიტეტის წევრები, — ყველაფერი ეს ხომ ჩვენს თვალწინ ხდებოდა?

მართლაც, განა შეიძლება ისე მუშაობა, როცა საქალაქო კომიტეტი იხილავს მეცნიერების საკითხს, არც ერთ აკადემიკოსსა და მეცნიერებათა დოქტორს — საქალაქო კომიტეტის წევრებს არ იზიდავს საკითხის მოსამზადებლად? გამოდის, როგორც აკადემიკოსმა ვ. ს. სემენჩენმა თქვა, რომ საქალაქო კომიტეტის წევრები „საქორწილო გენერლები“ ყოფილან, რომლებიც სილამაზისათვის სხედან.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამგვარი მოვლენები ბევრ სხვა რეგიონშიც გვაქვს. სამწუხაროდ, დღემდე გვხვდებიან ისეთი მუშაკები, რომლებმაც არ იციან და არ ესმით ახალი ამოცანები, ეშინიათ კომუნისტების, მშრომელების აქტიურობისა. საჭიროა, რომ თითოეულ პარტიულ კომიტეტში ცხოვრება ჩქეფდეს, რომ ადამიანებს ეს პარტიული ორგანო მიაჩნდეთ მშობლიურ სახლად და მოდიოდნენ აქ თავიანთი სიხარულითა და საზრუნავით. მაგრამ მთავარი რგოლი ახლა პირველად პარტორგანზოგიერთ ორგანიზაციაა. აქ ახლა მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მიეპყროთ იმისა, რომ მაქსიმალურად გავააქტიუროთ კომუნისტები. ასეთია მომდევნო დიდი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადავდგეთ. სწორედ ამას უნდა ისახავდნენ მიზნად პლენუმისა და კომუნისტთა კრებებზე არჩევითი პარტიული ორგანოების ახლანდელი ანგარიშები.

თითოეულმა კომუნისტმა, თითოეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა ჩაბაროს სეროიზული გამოცდა, ჩაბაროს პატიოსნად და გულახდილად: დროისა და გარდაქმნის მოთხოვნების შესაბამისი გამოცდა. ნამდვილად უნდა დასცხეს საანგარიშო კრებებზე ყველას: გასაკრიტიკებელსაც და გამკრიტიკებელსაც. დაწყებული ანგარიშგება-არჩევნები ფორმალობა, მორიგი კამპანია არ არის. ისინი უნდა გახდნენ პარტიის ყველა წევრის, ყველა მისი კადრის აქტიურობის გამოღვიძების, ინერტულობისა და ინერციის მდგომარეობიდან ბევრის გამოსვლის ქმედითი საშუალება, ერთმანეთისადმი კომუნისტთა მომთხოვნლობისა და განსაკუთრებული ნდობის მომენტი. თითოეულის გულწრფელობა და დაინტერესება თვით პარტიის საქმიანი აქტიურობის გაზრდის უცილობელი წინამძღვრები. წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობები, მისი ავტორიტეტის შემადგენელი ნაწილებია.

ალბათ, მოიძებნებიან კომუნისტები, მათ შორის ხელმძღვანელებიც, რომლებსაც კარგი დღე არ დაადგებათ ამ კრებებზე. უნდა ვივარაუდოთ: იქნება იმის ცდები, რომ მოახდინონ კრების ზედმეტი ორგანიზება, ხელი შეუშალონ სერიოზულ სჯა-ბაასს გარდაქმნის საჭირბოროტო საკითხებზე, იმასაც შეეცდებიან, რომ ჩაახშონ კრიტიკა სხვადასხვა საბაბით. ახლა ეს კატეგორიულად გამორიცხულია. მაგრამ ეს დამოკიდებულია თვით კომუნისტებზე. მათ სრულად უნდა გამოიყენონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებით მინიჭებული უფლებები. დღეს ჩვენ გვჭირდება პრინციპულობა და კიდევ ერთხელ პრინციპულობა, საჯაროობა, გულახდილობა, პატიოსნება, ნამდვილი პარტიული ამხანაგობა საქმის ინტერესებისათვის. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ამ ანგარიშებით დაიწყოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების გაჯანსაღებისა და მებრძოლურობის ზრდის ახალი ეტაპის პროცესი.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა კადრებს ვაფასებდეთ გარდაქმნისადმი მათი დამოკიდებულებით. როცა გარდაქმნა ფართოდ გავრცელდება დემოკრატიზაციის მეშვეობით, ეკონომიკური რეფორმის, ახალი სამეურნეო მექანიზმის მეშვეობით, ცხადი გახდება, ვინ რად ღირს. შესწევს თუ არა უნარი ამა თუ იმ ხელმძღვანელს, კომუნისტს გაუძღვეს საქმეს, ეთანხმება თუ არ ეთანხმება ჩვენს პოლიტიკას— ყველაფერი გამოჩნდება.

კადრებთან მუშაობაში უნდა გავითვალისწინოთ ორი მომენტი. ერთი მხრივ, დავეხმაროთ ადამიანებს აითვისონ ახალი ეტაპის მოთხოვნები. მეორე მხრივ კი, თუ დავრწმუნდით, რომ ადამიანი არ იღებს ახალს, უარყოფს დემოკრატიზაციასაც, ეკონომიკაში ახალ მექანიზმსაც, ასეთ მუშაკს უნდა დავშორდეთ. და გადაჭრით! საქმით განუმტკიცებელ არავითარ ფუჭ ფიცს ანგარიში არ უნდა გავუწიოთ.

და კიდევ — კადრების შეფასების საკითხი. დღეს ყველამ ხელი უნდა მოჰკიდოს გადაუდებელი, საჭირბოროტო, საარსებო მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც უშუალოდ ეხება ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას, უქმნის მას სამუშაო განწყობილებას, აძლევს შესაძლებლობას ნორმალურად დაისვენოს, თავის ჭკუაზე გამოიყენოს თავისუფალი დრო, არ ახარჯინებს ამ დროს ფუჭად. თუ ხალხი ვერ იგრძნობს სიტუაციის გაუმჯობესებას, იგი გულღიად არ მოჰკიდებს ხელს ახალი ამოცანების გადაწყვეტას. ლენინი სიტყვებითა და მოწოდებებით ვერაფერს გახდება.

კადრებს, რომლებიც უხვად არიგებენ დაპირებებს, საქმეს კი არ აკეთებენ, ძველებურად მოქმედებენ, სხვისი მოიმედოობის, სოციალური საქმეებისათვის ნარჩენების გამოყოფის პრინციპის პოზიციებს ადგანან, ასეთ ხელმძღვანელებს ადამიანები არ გაჰყვებიან. ყველა ამ საკითხს პარტიამ კონტროლი უნდა დაუწესოს. და მომკითხველობა, ამხანაგებო! მომკითხველობა! მხოლოდ მაშინ იგრძნობენ ადამიანები პარტიის ავანგარდულ როლს გარდაქმნაში.

რამდენიმე კონკრეტული საკითხი. კარგად უნდა დავამთავროთ მიმდინარე წელი. საქმე ეხება გეგმების შეასრულების ორგანიზაციულ, იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. სწორედ ეს არის სიტყვისა და საქმის ერთიანობა. საჭიროა კონკრეტული მუშაობა წლის დამთავრებისათვის, ორგანიზატორული, საკონტროლო მუშაობა. ეს ერთი.

მეორე. უნდა მოვამზადოთ კოლექტივები სამეურნეო ანგარიშისათვის. ეფიქრობ, რომ ამ საკითხს ჯერ-ჯერობით ვერ აფასებენ პარტიაშიც, სამეურნეო მართვის რგოლშიც, შრომითს კოლექტივებშიც. ზოგიერთი მართლაც სერიოზულად მოეკიდა ამას და საფუძვლიანად მუშაობს. მაგრამ დღემდე ყველამ ვერ გაიგო საქმის მნიშვნელობა და სირთულე. ზოგს ჰგონია, რომ ყველაფერი კარგად წავა თავისთავად. ან კიდევ მიაჩნიათ, რომ ხელმძღვანელობა ვერაფერს გახდება, ისევ იძულებული იქნება გადაიხადოს ფული ყოველგვარი მუშაობისათვის, მდარე ხარისხის პროდუქციისთვის. ან, ამხანაგებო, ეს ახლა დაუშვებელია, ეს აღარ იქნება.

ყოველ შრომითს კოლექტივში უნდა დავიწყოთ ეკონომიკური მოშზადება, ვასწავლოთ მუშაკებს შრომის ორგანიზაცია ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში. ეს საკითხები უნდა იყოს ყველა პარტიული ორგანიზაციის, მთელი კადრების ყურადღების ცენტრში.

როგორ ემზადება კოლექტივი სამეურნეო ანგარიშისათვის? ეს თემა მუდამ უნდა იყოს ტელევიზიის ეკრანებზე, რადიოგადაცემებში, პრესაში, ეკონომიკური განათლების სისტემის მეცადინეობებზე. დაე, გამოიქვეს თავიანთი აზრი მუშებმა, კოლმეურნეებმა, საწარმოთა ხელმძღვანელებმა, მინისტრებმა, სხვა მუშაკებმა — ყველამ, ვიზეც დამოკიდებულია ეკონომიკური რეფორმის წარმატება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ კანონს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, რომელიც ძალაში შედის 1988 წლის 1 იანვრიდან. არ უნდა დავუშვათ, რომ უწყებრივი თუ სხვა ინტერესების გულისთვის იგი სისხლით დაიცალოს. საქმე ეხება არა მარტო საწარმოს, არამედ დარგების მუშაობასაც, ძიებებს მართვის სტრუქტურებში, ახალი გაერთიანებების შექმნას, ტექნიკური პროგრესის საკითხებს, ეკონომიკური ნორმატივების შემუშავებასა და ათვისებას. ეს ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხია. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი სახალხო მეურნეობა უნდა მოვამზადოთ ეკონომიკური რეფორმის რელსებზე გადასაყვანად.

მომდინარე ეტაპზე პრესის შესახებ. ძალზე დიდია მისი როლი. მან ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიზაციის პროცესებს, წინ წასწიოს ეკონომიკური რეფორმის ათვისებასთან დაკავშირებული საკითხები. ჯერ-ჯერობით ჟურნალისტები სუსტად აშუქებენ როგორც ერთ, ისე მეორე პრობლემას. ზოგჯერ გამოდის კარგი სტატიები, მაგრამ ისინი აშკარად საკმარისი არ არის. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: პრესის მუშაობა ამ მიმართულებებით არ უნდა შესუსტდეს, იგი მაღალ დონეზე უნდა იყოს. ისევე როგორც გარდაქმნის პირველ ეტაპზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი უნდა იყვნენ პირველ რიგებში, გვეხმარებოდნენ ახალი ამოცანების გადაწყვეტაში. მაგრამ ახლა მისი მასალები უნდა იყოს უფრო კომპეტენტური, უფრო ღრმა, უფრო ანალიზური. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან, ტელევიზიის ეკრანებიდან მკითხველები და მაყურებლები ელიან სერიოზულ მსჯელობას, აზრის დაძაბვას, სხვადასხვა მიდგომის შეტაკებას, ყოველივე იმ მნიშვნელოვანის ჩვენებას, რაც უკვე გარდაქმნის პრაქტიკით არის შეძენილი. მუშაობის უნარი და ოუნარობა, გარდაქმნის სურვილი და სურვილის უქონლობა — აი ის თემები, რომლებიც ნიადაგ ელიან თავიანთ ანალიზს.

საჭიროა პრესის ფურცლებზე მიეხიდოთ ეკონომისტთა ძალები. ავიღოთ იგივე „მრგვალი მაგიდები“, სადაც მოსაზრებების გაზიარება შეუძლიათ მეცნიერებსაც, პრაქტიკოსებსაც, მაგრამ რატომღაც ამჟამად მოვლენა გახდა გაზეთების ფურცლებზე, ტელევიზიაში. ყველაფერი ეს უნდა იყოს. როგორიმა მშრომელებმა, საწარმოთა დირექტორებმა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა, მეცნიერებმა, სპეციალისტებმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა — აი ვინ უნდა ილაპარაკოს ახლა გაბოლდილების შესახებ და გააკრიტიკოს ტელევიზიის შეცდომები და ხარვეზები. პარტიულ მუშაობაზეც უნდა ვწეროთ საქმის ცოდნით. ზოგჯერ იწყებენ თითქოსდა რაიკომის „პორტრეტის“ ნატვის, ყველაფერი კი იმით ამოიწურება, რომ ჟურნალისტი გვიყვება, როგორ ჩავიდა, როგორ მოიარა მდივანთან ერთად მინდვრები — იქ რუხად მოჩანდა გარემო, იქ თეთრად, აქ არყის ხე იდგა, იქ ნაკადული მორაკრაკებდა; და ბოლოს ვერ გაიგებ, რისი თქმა უნდა. არ არის არც ანალიზი, არც საკითხი დაყენებული, მაშასადამე, არ არის ის, რითაც ახლა ქვეყანა ცხოვრობს.

არსებითად, პრესა უფრო მებრძოლი გახდა, მაგრამ მან კიდევ მეორე სუნთქვაც უნდა შეიძინოს, ისევე როგორც მთელმა პარტიამ, მთელმა ქვეყანამ, უნდა იარის წინ, არ უნდა ჩარჩეს გუშინდელ მიჯნებზე. ჩვენ მეტი უნდა ვიმუშაოთ ჟურნალისტებთან, წინათ უფრო ხშირი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ჟურნალისტებთან — კოლექტიური შეხვედრების მეშვეობითაც, ინდივიდუალურადაც, მდგომდნენ სარედაქციო კოლეგიებში. ცენტრალური კომიტეტის, საოლქო და სამხარეო კომიტეტების მდივნებიც, მთავრობის წევრებიც ხშირად უნდა ხვდებოდნენ, ესაუბრებოდნენ ჟურნალისტებს. მოდით, ყველამ ვიმუშაოთ. პრესა ჩვენი საერთო პარტიული, საერთო სახალხო საქმის ნაწილია. სწორედ ასე უნდა ვეკიდებოდეთ მას.

რამდენიმე სიტყვა საჯაროობის შესახებ. საჯაროობა და დემოკრატია ერთგულ და საიმედოდ უნდა ემსახურებოდეს სოციალიზმს. საჯაროობისა და დემოკრატიის საკითხები — ეს არის მართვაში ხალხის მონაწილეობის საკითხები, და ისინი არ უნდა ამოიწურებოდეს ტელევიზიის ეკრანით თუ გაზეთის გვერდებით. უკვე არაერთგზის გვითქვამს, რომ უხალოდ, ხალხთან მოოთათბირებლად არ გადავწყვეტთ არც ერთ უდიდეს ამოცანას. მაშასადამე, უნდა განვავითაროთ საჯაროობა, გავაძლიეროთ დემოკრატიზაციის პროცესი სოციალისტურ ღირებულებათა განმტკიცების ინტერესებისათვის. დემოკრატიზაციის პროცესის ყოველი დამუხრუჭება არსებითად, საზოგადოების განვითარების, გარდაქმნის დამუხრუჭებაა.

ყველამ იცის, რომ აკრძალვები, რომლებიც უძრაობის პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი, თავდან მოვიშორეთ, მტკიცედ დავადექით დემოკრატიის გაფართოების გზას. და ჩვენ კვლავაც ვიგლეთ სოციალისტური დემოკრატიის, სოციალისტურ ღირებულებათა განმტკიცების, აზრისა და შემოქმედების თავისუფლების გზით. საბჭოთა ხალხი უდიდესი კულტურისა და განათლების ხალხია. იგი ყოველთვის გაერკვევა, რა კარგია და რა ცუდი. ჩვენი ზნეობრივი ღირებულებების დამკვიდრება, ადამიანის ამაღლება, სოციალიზმისათვის ყოველივე უცხოს თავიდან მოშორება, შემოქმედების თავისუფლება და მისი მრავალფეროვნება — აი კულტურაში ჩვენი გზა.

ქვეყანაში მოგზაურობისა და ხალხთან შეხვედრების შესახებ, გულახდილად გეტყვით, წინანდელივით ხშირად ვერ ვმოგზაურობთ. ჩვენ უნდა წავიდეთ იქ, სადაც უჭირთ, სადაც უნდა გაიხსნას რაღაც დიდი სახალხო-სამეურნეო კვანძი. პარტიული მუშაკი უნდა გრძნობდეს, სად დაგროვდა გადასაჭრელი პრობლემები, სად არის საჭირო მისი დახმარება, სად წარმოიშობა დაძაბულობა. აი, სწორედ ეს დაძაბულობა უნდა განვმუხტოთ, დავეხმაროთ გაერკვნენ ამა თუ იმ სიტუაციაში.

რა თქმა უნდა, თითოეული მოგზაურობის დროს მთავარია საუბრები ადამიანებთან, საჭირბოროტო პრობლემებისა და იმის განხილვა, თუ როგორ წყდება ისინი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამხანაგებო, ახლა წინა პლანზე დგება კონკრეტული საქმეები. ჩვენი საქმიანობა ინაცვლებს გარდაქმნის მეორე, გადამწყვეტი ეტაპის ამოცანების ორგანიზაციული, იდეოლოგიური, პოლიტიკური და ხნეობრივი უზრუნველყოფისათვის კონსტრუქციული მუშაობის მიმართულებით. (საკდესი).

სალაროს გვერდის ავლით

ამა თუ იმ მოვლენის ანალიზის დროს მსჯელობის კატეგორიულობას შეიძლება მოჰყვეს მისი გაუბრალოებული განმარტება. საკუთრივ გამოტანილი დასკვნა შეიძლება თავისთავად სამართლიანი იყოს, მაგრამ სრულად არ ასახავდეს საქმის არსს. ცალკეულ შემადგენელ ნაწილებსაც ვერ უგულებელყოფთ, რადგან სწორედ მათი ერთობლიობა იძლევა განსახილველი პროცესის ობიექტურ სურათს.

ავიღოთ საფუძვლად ეს წანამძღვარი და ერთხელ კიდევ ჩავფიქრდეთ რესპუბლიკაში საკასო გეგმის სტაბილურ შეუსრულებლობას. ამ მხრივ სიტუაცია მეტად შემაშფოთებელი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კრიზისული შეიქმნა: მიმდინარე წლის სამი კვარტალის შედეგებით განსხვავებამ რამდენიმე ასეულ მილიონ მანეთს გადააჭარბა. რატომ?

ცუდად მუშაობს მომსახურების სფერო — დარწმუნებულია ბევრი იმათგანი, ვინც ლამის ყოველდღე გამოდის მისი ობიექტების კლეიტტა როლში. ვიღაცთ პროდუქციას, რომელზეც მოთხოვნა არ არის, — გვარწმუნებენ, მაგალითად, ვაჭრობის წარმომადგენლები. გვაღალატებენ მომიჯნავენი, ჩვიან თავის მხრივ დამაბრალებლები, და ყველა მათგანი მართალია.

მაგრამ ამით, რა თქმა უნდა, ერთმანეთისადმი საკმაოდ დასაბუთებული საყვედურების ნუსხა არ ამოიწურება. ჩვეულებრივ მათგან არ ითვალისწინებენ ერთ მოტივს. ამასთან, ეკონომისტთა აზრით, მნიშვნელოვანს: საკასო დისციპლინის დაუცველობას. არადა, ეს ეხება თითოეული მხარის ინტერესებს. ასეთნაირად ხომ ზოგიერთი ხელმრეფე სერვისის მომსახურე (ზოგჯერ მიმწოდებლებთან ერთად) ყვლეფს მომხმარებლებს, მდიდრდება მათი ნაოფლარით. მუთაქებში ჩაწყობილი არამი შემოსავალი კი დიდხანს ვერ ხვდება ბრუნვაში, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში ნაღდი ფულის დეფიციტის შექმნას.

ამგვარ დარღვევათა მექანიკა ზოგჯერ მარტივია, ზოგჯერ სულაც არ არის ცხადი. ამ სტრიქონების ავტორმა ყველაფერი ელემენტარულით დაიწყო — გაისეირნა რუსთაველის პროსპექტზე. ერთი შეხედვით თავიდან ბოლომდე ნაცნობმა რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალურმა მაგისტრალმა ისეთი ინფორმაცია „გამიზიარა“, რომელიც ყურადღებას არ იპყრობდა. აქ მდებარეობს ორმოცამდე სხვადასხვა პროფილის ობიექტი, რომლებიც საქონელს ყიდიან და მომსახურებას უწევენ მომხმარებელს. და პრაქტიკულად მათგან ნახევარი აღჭურვილი არ არის საკასო აპარატებით. ყოველ შემთხვევაში, მაღაზიებში „ყვავილები“, „ნოტები“, „ჩაი“, „ღილები“, ბოსტნეულის მაღაზიებში, საპარიკმახეროში, ფოტოატელიეს და ა. შ. აგრეგატები ვერ აღმოვაჩინეთ ვერსად. ნუთუ ყბადაღებული სავაჭრო ფართობის ნაკლებობაა ამის მიზეზი?

საზოგადოებრივი კვების ობიექტებში აპარატები დადგმულია. მაგრამ, კერძოდ, კაფე „სინათლეში“ გამყიდველები უიმთათოდაც იოლად გადიოდნენ. თუ მომხმარებლებთან უშუალო ანგარიშსწორების დროს ამ ჭალების ეფექტით ვიმსჯელებთ, მივხვდებით, რომ ისინი ამ მომენტში უფრო ხიბლ კოშკის სიმაღლეს გაიხსენებენ, ვიდრე იმას, რომ ზურგს უკან გაჩერებულია მარჯვე „თანაშემწენი“. მოგვიანებით, გამოიცხული არ არის, რომ ჩეკებს მანქანაში გაატარებენ, მაგრამ საკასო აპარატების მაკონტროლებელი ფუნქცია, ცხადია, აღარ განხორციელდება.

თუმცა, მოქმედი აგრეგატიც კი ჯერ კიდევ არ არის ბოროტმოქმედებათა პანაცეა, რადგან ხშირად უგულებელყოფენ საკასო აპარატების ექსპლოატაციისა და მათი გასაღების შენახვის წესებს. რამდენიმე ხნის წინათ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თანამშრომლებთან ერთად ვმონაწილეობდი რეიდში, რომელიც თბილისის სავაჭრო საწარმოებში მოეწყო. ერთ-ერთ მაღაზიაში (გაზრახ არ ვასახელებ მას ახლა — ყველა დამნაშავე შესაბამისად დაისჯა) მოლარე ანგარიშში მოტყუებისას ამხილეს. გარდა ამისა, შემმოწმებლებმა დაადგინეს, რომ სალაროში ფულის ნაშთი ათი მანეთით სჭარბობდა საკასო აპარატის მაჩვენებელს.

ახლახან სახურთალოს რაიკავშირის № 2 მაღაზიაში ასევე გამომეღავნდა ანგარიშში მოტყუების ფაქტი. შემდეგ მოწყობილმა ინვენტარიზაციამ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეკულაციისა და სოციალისტური საკუთრების დატაცებათა წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს მუშაკებს შესაძლებლობა მისცა გამოვლინებინათ სერიოზული დარღვევები თბილისის შამპანსერი-ღვინოების ქარხანაში.

სერვისის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელებს არაერთგზის დაევალათ დამყარებინათ წესრიგი საქვეუწყებო საწარმოთა საკასო მეურნეობაში. მაგრამ, მრავალი შემოწმება ადასტურებს, რომ ჯერ-ჯერობით სასურველი შედეგი არ არის მიღწეული. სხვათა შორის, თავის გასამართლებლად ცალკეული თანამდებობის პირები იმოწმებენ ასეთ [illegible] კლეიტტიც არ [illegible]

მართალი გითხრათ, მთლად არ არის გასაგები, თუ რამ განაპირობა დაკეთებით მოითხოვდე იმას, რაც წესით არის გათვალისწინებული. განა ჩვენთვისაც ძნელია, რომ საქონლის ან მომსახურების ფასის გადახდის შემდეგ ჩეკი მოვითხოვოთ?

რუსთაველის პროსპექტზე ათიოდე ანდედ შერჩეულ მყიდველს ვკითხე: ოდესმე აგიღიათ მაღაზიაში ჩეკი? ორმა მათგანმა მიპასუხა, რა თქვენი საქმეაო, დანარჩენი პასუხი ერთმანეთს ჰგავდა — „ჩეკი რაში მჭირდებაო“?

— თუნდაც იმისთვის, რომ ხელი შეუშალოთ საქმოსნებს შავბნელი საქმეების კეთებაში, — შევეცადე დამერწმუნებინა საშუალო ხნის მამაკაცი.

— რა, სხვებზე მეტად მჭირდება ეს! — ხელი ჩაიქნია მან.

მ

ფიგნი — მეგობრობის ჯიდი

მეხსიერებაში მხოლოდ ის ინახება, რაც თავის განუმეორებელ კვალს ტოვებს, რაც გვაღელვებს, აღგვაფრთოვანებს...

მოგონებანი, ხსოვნა — აი ისტორიისა და ცხოვრების ჭეშმარიტად ოქროს მარაგი. სწორედ იგი ასრულებს იმ თავისებური ზამბარის როლს, რომელიც კაცს ბიძგს აძლევს მიზანსწრაფულ გზაზე. ყოველ მოგონებაში გულია ჩაქსოვილი...

და ამქვეყნად მხოლოდ საქმე და მოგონება რჩება.

თაობებად ადამიანებს ვაჯგუფებთ არა მარტო ასაკის, არამედ იმ მოვლენების მიხედვითაც, რომლებმაც მათი ცხოვრება განსაზღვრა.

პარტიის ისტორიის უკვდავი ფურცლების გადაშლისას ყოველთვის აღგვაფრთოვანებს ბოლშევიკ-ლენინელთა დიდებული თაობა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომშზადებელთა და განმხორციელებელთა თაობა.

განა მათი დავიწყება შეიძლება? არასოდეს!

სოციალიზმის პირველმშენებელნი არიან ისინი, ვისაც წილად ხვდა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის განმხორციელებლის მოვალეობა, სიმძიმე და პატივი...

როცა ვუყურებთ სამოქალაქო ომისა და სოციალიზმის მშენებლობის განხორციელებისათვის გმირული ბრძოლის და თავდადებული შრომის ამსახველ უნიკალურ დოკუმენტურ კინოკადრებს, ხშირად არ ვიცით სახელები იმ ადამიანებისა, რომლებსაც ეკრანზე ვხედავთ. როცა ამავე თემებზე შექმნილ მხატვრულ ფილმებს ვნახულობთ, ხშირად არც იმ გმირთა პროტოტიპების ვინაობა ვიცით, ვისი ცხოვრებაც ასე გვაღელვებს, მაგრამ ვიცით, რომ ეს ადამიანები არსებობდნენ - და მოწიწებით თავს ვხრით მათი ნათელი ხსოვნის წინაშე. ვიცით, რომ მათი გამარჯვება წარსულს კი არ ჩაბარდა, არამედ დღევანდელობისა და მოგვლინაკენ არის მიმართული.

დიდი სამამულო ომის თაობა ის თაობაა, რომელმაც დაიცვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და ფაშიზმის მონობისაგან იხსნა კაცობრიობა. როცა მოსკოვსა და თბილისში, სულ ერთია სად, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მივდიავართ, არ ვფიქრობთ იმაზე, თუ რა გვარის იყვნენ ისინი, უბრალოდ, ვიცით, რომ მათ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებს შესწირეს თავიანთი მგზნებარე სიცოცხლე.

განა მათი დავიწყება შეიძლება? არასოდეს!

უცნობი ჯარისკაცის საფლავზე წოთელი მიხაკების მიტანით წმინდა ვალს ვიხდით ჩვენი მამებისა და პაპების ნათელი ხსოვნის წინაშეც, რომლებმაც უმაგალითო სიმამაცე და გმირობა გამოიჩინეს დიდი სამამულო ომის წლებში.

მოვიგონოთ ფრონტელი რუსი პოეტის პავლე ბოგდანოვის სიტყვები: არ გვისწავლია ტანკის ქვეშ ბრძოლა, მტრის ამბრაზურის დაფარვა მკერდით... ჩვენ სიყვარული გვასწავლეს მხოლოდ, სისხლით სამშობლოს სიყვარულს ვწერდით.

ომის ხსოვნა მოგონებაა მისი.

იგი წარუშლელია, არ ფერმკრთალდება წლების განმავლობაში, სწორედ ამიტომ არის, რომ ეს ხსოვნა ცალკეულ ადამიანებს ან ერთ თაობას კი არ შემორჩა, მთელი ხალხის მოგონებაში, მის ისტორიაში, აწმყოსა და მომავლშია ამოტვიფრული.

ომის შემდეგ მოვიდა ყამირის, ბამის, ენგურჰესის და სხვათა მშენებელი თაობა... კოსმოსის დამმორჩილებელთა თაობა.

და აი, სრულიად ახალგაზრდა თაობაც, რომელიც ახლა ებმება ცხოვრების დიდ ფერხულში.

სხვადასხვაგვარია ამ თაობათა ბიოგრაფიები, მაგრამ ერთი რამ, მთავარი საერთო აქვთ — ყველა გაიელის კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის საერთო დიდი გზის თავის მონაკვეთს და ამ რწმენით, ცოდნით, ერთგულებით და თავისი სახელოვანი წინაპრების გამოცდილებით შეიარაღებული მიდის.

ბრძოლასა და შრომაში გამოწრდილი სასახელო ტრადიციები თაობიდან თაობას გადაეცემა, და ეს არის ჩვენი ძლიერება.

არცთუ იშვიათად გაიგონებ: ახლა როგორღაც სხვანაირი ახალგაზრდობა მოდის, ზოგჯერ მას ვერ გაუგებო. ეს ყოველთვის ასე იყო. ესე იგი ესეც ცხოვრების კანონზომიერებაა.

სხვაგვარად წარმოუდგენელიც კია. ერთი თაობა არც შეიძლება სხვა თაობის ასლი იყოს, იცვლება დრო, ცხოვრების პირობები, ცოდნის დონე, რაც, თავის მხრივ, ცვლის მისწრაფებებს, გემოვნებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა გაუგო ახალგაზრდობას, უნდა იყო მის გვერდით, თუ აუცილებელია — უმთავრესი შეუსწორო. ეს უმთავრესი მისი იდეური მოწიფულობა, შრომისმოყვარეობა, კომუნიზმის მშენებლობაში თავისი წვლილის შეტანისადმი მისწრაფებაა. ამ მხრივ დასამდური არაფერი გვაქვს. ჩვენ გვყავდა და გვყავს კარგი, ჭკვიანი, ერთგული ახალგაზრდობა, რომელიც გვამშვენებს, თავდადებით შრომობს, სწავლობს და ასახელებს ჩვენს რესპუბლიკას. სწორედ ის არის ჩვენი იმედი და ჩვენი მომავალი. ერთი [illegible] დიდი მაგალითი ათასობით დადებითს ვერ გააფერმკრთალებს.

ახალგაზრდობას მხოლოდ ჭკვიანური დახმარება და თანადგომა სჭირდება, მისი ენერგიის და ინიციატივის სწორ კალაპოტში მოქცევისათვის ზრუნვაა მთავარი. ეს არაერთხელ შეუხსენებია ჩვენთვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. წარსულის მოგონებაში ყოველთვის დიდი ადგილი უკავია გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრებს, ამ შეხვედრების ღრმა კვალს სიბერემდე ინახავს ადამიანის შეხსიერება.

მოგონებებში გულია ჩაქსოვილი

ვიგონებ ერთ ასეთ დაუვიწყარ შეხვედრას ავიაციის მთავარ მარშალთან ალექსანდრე ევგენის ძე გოლოვანოვთან. იგი დიდი სამამულო ომის შემდეგ საქართველოს რამდენჯერმე ესტუმრა, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში სამჯერ ზედიზედ ისვენებდა შავი ზღვის პირას, ჭობულეთში. ჩვენი სტუმარი მეგობრობდა ყოფილ ქართველ სამხედრო მფრინავებთან, რომლებზეც იტყოდა ხოლმე: მათ წმინდად და ბოლომდე მოიხადეს ვალი ხალხის, ქვეყნის, პარტიის წინაშეო.

ავიაციის მთავარი მარშალი შეხვედრია ქართველ მწერლებს. გატაცებით კითხულობდა კოსტანტინე გამსახურდიას რომანებს და მოხიბლული იყო გალაკტიონ ტაბიძით.

შეხვედრის დროს ვთხოვე ეამბნა რომელიმე ეპიზოდი თავისი ცხოვრებიდან. მან გაიხსენა:

1942 წლის შემოდგომის ერთ დღეს, როცა მტერი კავკასიაში შეიჭრა, თავდაცვის სახალხო კომისრის კაბინეტის მისაღები სწრაფად ივსებოდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებითა და მხედართმთავრებით. საათის ისრები ღამის პირველ საათს უჩვენებდა.

თათბირს სტალინი წარმართავდა. მის გარდა ყველა იჯდა. თათბირი ის იყო დაიწყო და მეც ფრთხილად, ფეხაკრეფით შევედი, დავჯექი. ვწუხდი, რომ ოდნავ დავიგვიანე. წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს დაგვიანება ასეთ თათბირზე თუნდაც ერთი წუთით?!

სტალინმა მკაცრად შემომხედა. არაფერი უთქვამს, მაგრამ მისმა მზერამ თითქოს მომეცალა.

სხდომების მონაწილენი დაძაბულნი შესცქეროდნენ თავდაცვის სახალხო კომისრის სახეს და ძუნწ ქუსტებს. ის კი თავის კაბინეტში ბოლთას სცემდა. წყნარად, გამოკვეთილად და ნათლად, ყველასათვის გასაგებად მეტყველებდა. იგი ყველა მოვლენის საქმის კურსში იყო: თითოეული ჩვენგანი კონკრეტულ დავალებას იღებდა. შეკითხვებზე მოკლედ და ამომწურავად უპასუხებდა.

როგორც ყოველთვის, თათბირი დიდხანს არ გაგრძელებულა. დასასრულს სტალინმა თქვა: დარჩეს შორსმფრენი ავიაციის სარდალი!

ყველა გავიდა. მე ავდექი. გავირინდე, თითქოს გავქვავდი. სტალინი მომიახლოვდა, დამაკვირდა და მკითხა: როგორც, ჩანს, ავიაციაში მძიმე მდგომარეობაა, რახან დაგაგვიანე...

— არა, ამხანაგო სტალინ, ავიაცია სულ უფრო ავიწროებს მტერს, დანაკლისიც გვაქვს, ზოგჯერ — დიდი. მაგრამ მტერი ხშირად თავს არიდებს პირდაპირ საჰაერო შეტაკებას და უკუიქცევა ხოლმე.

სტალინი ყურადღებით მისმენდა და მცირე ხნის დუმილის შემდეგ მითხრა:

— კარგია, რომ უკუიქცევა... უნდა გაძლიერდეს ზუსტი და მძლავრი საჰაერო დარტყმები ყველა მიმართულებით. ამას არა მარტო სამხედრო, არამედ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, — ცოტა ჩაფიქრდა და დასძინა: — თქვენ, მფრინავებს, ჯარის სხვა სახეობასთან ერთი უპირატესობა გაქვთ: ზემოდან დაჰყურებთ ბრძოლის ველს. და ნათლად ხედავთ მის სირთულეებს..

შემდეგ მოვახსენე: თქვენთან დღეს დანიშნული თათბირი მოულოდნელად ერთი საათით რომ გადაიტანეს, გადავწყვიტე სამშობიარო სახლში შემრბინა მეუღლესთან... მეგონა, მოვასწრებდი, თათბირზე არ დავიგვიანებდი.

— და რით გაგახარა მეუღლემ? — მკითხა და ოდნავ ჩაიღიმა ულვაშებში კეთილი ღიმილით.

— ვაჟი არ უჩუქნია...

— ვაჟიშვილი მამისათვის უკეთესია, მაგრამ არა უშავს, განა გოგო ნაკლებია... მერამდენეც უნდა იყოს, როცა ბავშვი იბადება, ირგვლივ ყველაფერი თითქოს ნათლდება...

მცირე ხნით ფიქრებში წავიდა, შემდეგ მკითხა, ქალაშვილს რა დაარქვითო.

— ჯერ არაფერი, — ვუპასუხე.

— მოდი, მოვიფიქროთ... თუ წინაალმდეგი არ იქნები, ნიკე დავარქვათ... ხომ გახსოვს, ბერძნული მითი, ნიკე სამართლიანი ომის ქალღმერთი, გამარჯვების სიმბოლოა. მაშ ასე, შევთანხმდით... ჯერი მეუღლეზეა. გადამწყვეტი სიტყვა მაინც მას ეკუთვნის...

— ჩავთვალოთ გადაწყვეტილად, შეიძლება წავიდე? — ვიკითხე.

სტალინმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

უეცრად რაღაც განსაკუთრებული გრძნობით მითხრა:

— ამხანაგო გოლოვანოვ, იქნებ ყვავილები წაგეღო, თუ ვერ იშოვი, აეროდრომზე მინდვრის ყვავილები დააკრეფინე... დილამდე შეგიძლია დარჩე მოსკოვში...

ბედნიერი დედობა ომით იყო ჩაშწარებული, მაგრამ მაინც უსაზღვრო გახლდათ სამშობიარო პალატაში მწოლიარე დედის სიხარული, როცა გაიგო, რომ მის ქალაშვილს ნიკე დაარქვა სწორედ იმან, ვინც ყოველ ღონეს ხმარობდა გამარჯვებისათვის...

...ყოველი წლის 9 მაისს და ნოემბრის დღეებში მაღალი, მოხდენილი კაცი იცვამდა ავიაციის მარშლის საპარადო მუნდირს და დღესასწაულზე მიდიოდა. ასე იყო ნოემბერში საქართველოში მისი უკანასკნელად ჩამოსვლის ჟამსაც. ბათუმში, მთავარ მოედანზე, ვ. ი. ლენინის ძეგლთან წითელი მიხაკები დააწყო და მხედრულად მიესალმა ბელადს...

მართლაც ძლიერია ხსოვნა გულისა. მით უფრო, თუ მოგონებებში გულია ჩაქსოვილი.

ფილიპე მახარაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

ამ გოგონების დამახასიათებელია ის, რომ თბილისის აბრეშუმის საფეიერო-ხამკერვალო საწარმოო გაერთიანების უკარდული წარმოების № 2 ხაჭოსი საამქროს მეხამე ბრიგადამ ხუთწლედის ორი წლის გეგმა საშვიდნოემბროდ შეასრულა. კომკავშირელები ინგა წიკაძე (მარცხნივ) და მაყვალა ქოზაევა მუყაოთად შრომობენ და სიხტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს.

ჯ. ლომაძის ფოტო.

მუქთახორობიდან დანაშაულამდე...

მუქთახორა! ეს სიტყვა ნასესხებია და ქართულში სხვა ენიდან არის შემოსული.

რატომ? იმიტომ, რომ მისი საქორაობა ჩვენთან დიდად არ იგრძნობოდა. ქართველი კაცი მზეს ამოსვლას დაასწრებდა, ალიონზე სამუშაოზე იყო და ვიდრე ბალახს ნამი შეაშრებოდა, შრომით გულს იკერბდა ხოლმე.

ეს მუშაკაცზეა ნათქვამი, ქვეყნის დოვლათსა და ბარაქას რომ ქმნის. მაგრამ უბინჯო ხომ ოქროც არ არის?! ოჯახში ხანდახან მახინჯიც გამოერევა ხოლმე და არც თავს იგრეა და არც — საზოგადოებას. ჩვენში მუქთახორობას კანონი კრძალავს, შრომა კი ღირსებისა და დიდების საქმეა.

მაგრამ, აბა, რა ღირსებებზე უნდა ელაპარაკო ოცდაშვიდი წლის **მერაბ მირიანის ძე შარაშენიძეს,** რომელმაც სამჯერ მოიხადა სასჯელი, მაგრამ მისი გამოსწორება ვერა და ვერ იქნა. უკანასკნელად გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს წინაშე წარსდგა და ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს, პატიმრობიდან შარშან ოქტომბერში განთავისუფლდა, დაბრუნდა თბილისში და მუდმივ საცხოვრებლად მშობლებთან ჩაეწერა. დაუწესდა ადმინისტრაციული ზედამხედველობა, ურჩევდნენ ჩაბმულიყო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მაგრამ რა გამოვიდა? ოფიციალურადაც გაუფორმეს ოქმი, რომ შეეწყვიტა პარაზიტული ცხოვრება, გაიყვანეს კალინინის რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულ შრომითი მოწყობის კომისიაზე, სამუშაოდ გაგზავნეს ელექტროლუს ფაბრიკა „ისანში“, მაგრამ მუქთახორობა ეს სიავე ისე ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ფორმალურადაც არ იკადრა ფაბრიკაში მიესვლა. მერე ჯანმრთელობის შესამოწმებლად საექიმო კომისიაზე მისულმა „ვერ უღალატა“ თავის „პროფესიას“ და რენტგენოლოგიის კაბინეტიდან ქალის ხელჩანთა მოიპარა, რომელშიც 198 მანეთი იყო...

მურთაზ ირაკლის ძე მარკოზაშვილი ოცდაცამეტი წლის კაცია და მუქთახორობასთან ერთად ნარკომანიასაც უხდის ხარკს. როგორც მუქთახორა, ოფიციალურად რამდენჯერმე გააფრთხილეს ჩაბმულიყო შრომაში, გაფრთხილებამ და თხოვნამ რომ არ გაჭრა, იძულებული შეიქნენ წარედგინათ სატრუნველოს რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი კომისიისათვის. სამუშაოდ გაგზავნეს საბურთალოს რაიონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში. გამოცხადებით კი გამოცხადდა, მაგრამ ერთხელ მეტად იქ არაფის უნახავს, კვლავინდებურად პარაზიტულად ცხოვრობდა, ხან რომელ რაიონში გამოჩნდებოდა, ხან რომელში, მერე მარნეულში წაასწრეს ნარკოტიკული ნივთიერების შეძენისა და შენახვის ფაქტზე...

ზოგჯერ მშობლებსა და ნათესავებსაც კი თავი აქვთ მობეზრებული უქნარასა და მუქთახორისაგან, ცდილობენ როგორმე მოიცილონ იგი. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ქურდობის, ცსკვლელობის მცდელობისა და მილიციის თანამშრომლებისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის ადრე ნასამართლევმა **გიორგი იოსების ძე შავგულიძემ** შვიდწლიანი პატიმრობა მოიხადა და შინ დაბრუნდა, თბილისში, ნინოშვილის ქუჩა № 66-ში მცხოვრებმა მშობლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს შვილის სახლში შეშვებაზე; ჩვენ არა, ბატონო, ბებია ჰყავს აგერ, დოლიძის ქუჩა № 32-ში და იმან ჩაწეროსო, — თქვეს. ბებიამაც რომ იტყვიან, ქვა აადო და თავი შეუშვია...

ასეთი „მზრუნველი“ ხელი გაუწოდეს შვილსა და შვილიშვილს.

მშობლობა და ბებიობაც ამას ჰქვია!

მილიციამაც საჭირო ზედამხედველობა ვერ გაუწია, ჰოდა, დარჩა გ. შავგულიძე ჰაერში გამოკიდებული. და ისევ დანაშაული. ამჯერად მას ბოროტი ხულიგნობისათვის გასასამართლებენ.

იქნებ ეს არ მომხდარიყო, რომ ოჯახის წევრებს, ახლობლებს მისთვის ხელი გაეწოდებინათ, ვინ იცის გიორგის სხვაგვარად შეეხედა ცხოვრებისათვის, გაეწყვიტა კავშირი წარსულთან და შრომის ფერხულში ჩაბმულიყო მაგრამ... აქ სიტყვას აღარ გაგაგრძელებთ, განა მშობლების ვალი არ არის გზაბნეული შვილის კალაპოტში ჩაყენება, მის მომავალზე ზრუნვა?!

მეტად დამაფიქრებელი ფაქტია!

ძმობისა და დედმამიშვილობის დიდი ეროვნული ტრადიცია აქვს ჩვენს ხალხს. გადაავლეთ თვალი ქართველი კაცის ისტორიულ წარსულს, გნებავთ თანამედროვეობას, და ამის ურიცხვ მაგალითს იპოვით. ჩვენ კი, სამწუხაროდ, იმაზე გვექნება ლაპარაკი, თუ როგორ მოკლა ძმამ ძმა. მიზეზი? ისევ უსაქმურობა და მუქთახორობა.

ამ დღეებში დიმომის მასივის ტყე-პარკში ბოკლულის გვამი ნახეს, ბოროტმოქმედს დანით ჩვიდმეტი ჭრილობა მიეყენებინა. მილიციამ დაადგინა, რომ მოკლული იყო წულუკიძის პირველი შესახვევის № 24-ში მცხოვრები, 1963 წელს დაბადებული **ვახტანგ ანზორის ძე ცხვარიაშვილი.** მას ქურდობისათვის ექვსი წელი ჰქონია მისჯილი და წლეულს თებერვალში ციხიდან ადრიატიკის ზღვამდე, თბილისიდან ბელგრადამდე, თბილისთან დამოყვრებულ ქალაქ ლუბლიანამდე. ადრე საუკუნეები გვაშორებდა ერთმანეთს, დღეს — კილომეტრები. დრო დროს არ ჰგავს და სივრცე სხვა სივრცეს. ახალი ბელგრადი ევროპულ ქალაქებს ჰგავს, მაგრამ ძველი ბელგრადი — ძველ თბილისს.

ერთი წიგნი არა ჰგავს მეორე წიგნს, როგორც ერთი ადამიანის სული მეორე ადამიანის სულს. ნამდვილი ადამიანიც და ნამდვილი წიგნიც ერთადერთია, თავისთავადი და განუმეორებელი. და მაინც სულთა თანაზიარობა აერთიანებს ადამიანებს, საუკუნეებს, ხალხებს, ცივილიზაციებს. ამ განწყობით მიეგებზავრებოდა ბელგრადს საბჭოთა დელეგაცია.

ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერიაო, — ბრძანებს რუსთაველი.

ქართული წიგნის მოყვარულებთან, ქართული კულტურის მეგობრებთან შეხვედრის მისია ჰქონდა დაკისრებული ჩვენს დელეგაციას ბელგრადში, მსოფლიოში ცნობილი საიამის წიგნის საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენაზე, რომელიც ყოველწლიურად იმართება იუგოსლავიის დედაქალაქში.

გამოფენაზე საქართველო წარმოდგენილი იყო ცალკე სტენდით, რაც განაპირობა რესპუბლიკის გამსახკომისა და საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა საავტორო უფლებების რესპუბლიკური საგენტოს წარმატებამ მოსკოვის წიგნის მსოფლიო ბაზრობა-გამოფენაზე.

სსრ კავშირის საავტორო უფლებათა საგენტო ბელგრადში მსოფლიოს წინაშე წარდგა ქართული წიგნით. ეს პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის კიდევ ერთი თვალსაჩინო დემონსტრაცია გახლდათ.

ექსპოზიციაში იყო ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და მსოფლიოს სხვა ხალხთა ენებზე გამოცემული 200-მდე ქართული მხატვრული და მეცნიერული წიგნი ცურტაველიდან დღემდე.

სსრ კავშირის დელეგაციამ 50-ზე მეტი კონტრაქტი გააფორმა საქართველოსა და სხვა მოძმე რესპუბლიკების მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა საუკეთესო ნაწარმოებების იუგოსლავიის ხალხთა ენებზე გამოსაცემად.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ბელგრადის გამოფენაზე ასეთი წარმატება საბჭოთა დელეგაციას ბოლო 20 წლის მანძილზე არ ჰქონია. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ იუგოსლავიის ხალხებზე უდიდეს გავლენას ახდენს სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების დადგენილებები, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის შრომები, მოხსენებები, გამოსვლები. ბაზრობა-გამოფენის დღეებში დიდი ინტერესით შეხვდა იუგოსლავიის ყველა რესპუბლიკა მ. ს. გორბაჩოვის რჩეული ნაწარმოებების სერბიულ-ხორვატულ ენაზე გამოცემას.

გარდაქმნის, დემოკრატიზაციის, საჯაროობის პოლიტიკამ, რომელსაც პარტია ადგას, შექმნა პირობები ისეთი წიგნების გამოსაცემად, რომლებსაც იუგოსლავიაში ნდობით და პატივისცემით ეკიდებიან.

დიდი ყურადღება მიიპყრო ნოდარ დუმბაძის წიგნებმა, რომლებიც თარგმნილია სერბიულ-ხორვატულ და სხვა ენებზე. ცალკე წიგნად გამოვიდა, მაგალითად, ნ. დუმბაძის „ჟუკარჩა“, იქვე გაფორმდა კონტრაქტი „მარადისობის კანონის“ ბელგრადში სერბიულ-ხორვატულ ენაზე გამოსაცემად. დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე გურამ ფანჯიკიძის რომანებსა და მოთხრობებს. სერბიულ-ხორვატულ ენაზე გამოიცემა მწერლის რომანები „ეტიური მზის წელიწადი“, „თვალი პატიოსანი“ და მოთხრობა „რეკვიემი“, მაკედონურ ენაზე — „მეშვიდე ცა“, „თვალი პატიოსანი“, „ქვიშის საათი“.

მიღწეულია წინასწარი შეთანხმება, რომ იუგოსლავიაში საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის მრავალტომიანი გამოცემების პერსპექტიულ გეგმაში შეიტანონ ო. ჭილაძის რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“.

დიდი ინტერესი გამოიწვია აკადემიკოს თ. გამყრელიძისა და პროფესორ ვ. ივანოვის ფუნდამენტურმა მონოგრაფიამ „ინდოევროპელები და ინდოევროპული ენა“. მიღწეულია წინასწარი შეთანხმება მისი გამოცემის თაობაზე.

იუგოსლავიაში 200-მდე გამომცემლობაა. წიგნის გამოცემის სასტამბო ციკლი უმთავრესად 2-3 თვეში ხორციელდება პოლიგრაფიის თანამედროვე მსოფლიო მიღწევების დონეზე. იუგოსლავებს ესეც არ აკმაყოფილებთ — მათ სურთ შეისყიდონ უახლესი სასტამბო ტექნიკა, რომელიც საშუალებას მისცემს მათ წიგნი ერთ კვირაში, ზოგჯერ კი 24 საათშიც კი გამოსცენ. ფანტასტიკაა, მაგრამ ფაქტია!

ამ ფონზე საჭიროა ჩავუფიქრდეთ ჩვენი რესპუბლიკის პოლიგრაფიული ბაზის მდგომარეობას.

რესპუბლიკის გამსახკომის თავმჯდომარეს რ. ღლონტს მჭიდრო კონტაქტები აქვს იუგოსლავ კოლეგებთან და პარტნიორებთან, მაგრამ სავალუტო-ფინანსური და ზოგიერთი სხვა პრობლემა ხელს უშლის საქართველოს თანამედროვე პოლიგრაფიის რესპუბლიკად გადაიქცეს. ამ მხრივ მეტი დახმარება და მხარდაჭერა სჭირდება გამსახკომს. რაღა თქმა უნდა, თუ მეტი ხელშეწყობა იქნება, უფრო იოლი გახდება მსოფლიო ბაზრობა-გამოფენებზე რესპუბლიკის ღირსეულად წარდგენა.

ბელგრადის ბაზრობა-გამოფენის დღეებში გაფართოვდა ჩვენი იუგოსლავი პარტნიორების წრე. მსოფლიოში ცნობილი გამომცემლობები „ვუკ კარაჯიჩი“, „ნოვე დელო“, „მაკედონსკა კნიგა“ და სხვები აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს საავტორო უფლებათა საგენტოსთან.

„მერანმა“ ჯერ კიდევ მოსკოვის ბაზრობა-გამოფენაზე დადო ხელშეკრულება „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ ბელგრადში, ხოლო „სერბიულ-ხორვატული პოეზიის ანთოლოგიის“ ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ. ამ ანთოლოგიას მოუთმენლად ელიან იუგოსლავიაში.

ბელგრადის ბაზრობა-გამოფენა დაემთხვა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის იუბილეს. ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო ილიას საიუბილეოდ თბილისში გამოცემული ყველა წიგნი და პლაკატი. იქაურმა რადიომ აღნიშნა ილიას იუბილე.

იმავე დღეებში ბელგრადი აღნიშნავდა დიდი სერბი ფილოლოგის, ისტორიკოსისა და ფოლკლორისტის, „სერბიის მამის“ — ვუკ კარაჯიჩის დაბადების 200 წლისთავს.

„საქართველოს მამის“ — ილიას და „სერბიის მამის“ — კარაჯიჩის წიგნები და სურათები სტენდზე ერთმანეთის გვერდით იყო მოთავსებული და არა მარტო იუგოსლავთა, არამედ მრავალრიცხოვან საზღვარგარეთელ სტუმართა ყურადღებას იპრობდა.

ქართული წიგნის სტენდი გამოფენის დამთავრების შემდეგ ბელგრადში მოწყობილ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე გამოიყენეს.

მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება საქართველოს და სერბიის საავტორო უფლებათა საგენტოებს შორის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებს ქართველ ავტორთა წიგნების გამოცემას იუგოსლავიაში, იუგოსლავი ავტორების გამოცემას საქართველოში, ქართული წიგნების გამოფენების მოწყობას ბელგრადსა და ლუბლიანაში, დელეგაციების, ბიბლიოგრაფიული და სარეკლამო მასალების გაცვლას, მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს.

ქართულ სტენდზე წარმოდგენილი წიგნები საჩუქრად გადაეცა ბელგრადის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და ბელგრადში საბჭოთა კულტურის სასახლეს, რასაც დადებითად გამოეხმაურა ბელგრადის პრესა.

იუგოსლავიის მთავარმა გაზეთმა „ბორბამ“ წერილი მიუძღვნა ქართული წიგნის გამოფენას ბელგრადში სათაურით „გარდაქმნის სულისკვეთება გამოფენაზე“. იუგოსლავები დიდი სიმპათიითა და პატივისცემით ეპყრობიან ქართულ კულტურას. ცნობილმა იუგოსლავმა მწერალმა ბრანკო კიტანოვიჩმა გაიხსენა დიდი იუგოსლავი მწერლის ივო ანდრიჩის ინტერესი ქართული თემისადმი თავის რომანებში.

სერბმა პოეტმა მომჩილო ჯერკოვიჩმა განაცხადა: იუგოსლავიაში იციან და ამაყობენ, რომ ქართულ ენაზე, რუსთაველის ენაზე ამეტყველდნენ სერბი, სლოვენი, ჩერნოგორიელი, მაკედონელი ავტორები, რომ ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს გამსახკომს, საქართველოს მწერალთა კავშირს, მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიას, საქართველოს სსრ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა საავტორო უფლებების რესპუბლიკურ საგენტოს.

საქართველოს სტენდზე ყურადღებას იპყრობდა აფხაზურ და ოსურ ენებზე გამოცემული წიგნები. ბულგარეთის დელეგაციამ, მაგალითად, სურვილი გამოთქვა სოფიაში გამოსცეს ბაგრატ შინჭუბას რომანი „უკანასკნელი უბიი“. გაიმართა მოლაპარაკება კონტრაქტის დასადებად. უფრო ადრე შინჭუბას ეს რომანი გამოიცა ბუდაპეშტში უნგრულ ენაზე. ინდოელმა პარტნიორებმა გააფორმეს ხელშეკრულება ოსური პოეზიის ანთოლოგიის გამოსაცემად ჰინდის ენაზე.

ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ ვითარდება პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა, პარტია ზრუნავს საზღვარგარეთ საბჭოთა რესპუბლიკების კულტურის პოპულარიზაციისათვის.

ბელგრადის მსოფლიო გამოფენა-ბაზრობას წინ უძღოდა მოსკოვის ბაზრობა-გამოფენა. ამ ორ საერთაშორისო ღონისძიებას ერთი თვე აშორებდა ერთმანეთს. მოსკოვშიც და ბელგრადშიც დიდი წარმატება ხვდა ქართულ წიგნს. საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა საგენტომ ორივე ბაზრობა-გამოფენაზე 90 კონტრაქტი გააფორმა: 80 — მოსკოვში, 10 — ბელგრადში. ეს სარეკორდო მაჩვენებელია.

გამოფენაზე დიდი ინტერესი გამოიწვია თ. აბულაძის ფილმმა „მონანიებამ“. მსოფლიოს რამდენიმე გამომცემლობამ სურვილი გამოთქვა გამოაქვეყნოს ამ ფილმის სცენარის სხვადასხვა ენაზე.

შეხვედრები ბელგრადში, იქ დამყარებული ახალი კონტაქტები ახალ ეტაპს მოასწავებს ქართული წიგნის საზღვარგარეთ გამოცემის საქმეში.

ბელგრადის საერთაშორისო გამოფენამ ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის კულტურული ურთიერთობის გაუმჯობესებას, ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ვლ. ალფენიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა საავტორო უფლებების რესპუბლიკური საგენტოს უფროსი, ბელგრადში წიგნის საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენაზე საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი.

ულტიმატუმი

საკრედსი იუწყება
21 ნოემბერი

დიდი იმედით

ამერიკელები მიესალმებიან უმაღლესი დონის შეხვედრას

ვაშინგტონი. „გამალებული შეიარაღების დეესკალაციის ეფექტიანი პროცესის დაწყება მთავარი იმედია, რომელსაც, უწინარეს ყოვლისა, ვუკავშირებთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრას“, — თქვა საკრედსის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, ყოფილმა სენატორმა უილიამ ფულბრაიტმა.

„მიმაჩნია, რომ ძვრა სწორედ ამ დარგში განსაკუთრებით საჭიროა, რადგან ორივე ჩვენი ქვეყანა ძალიან შორს წავიდა შეიარაღების არსენალების შესაქმნელად სახსრების, ადამიანთა მეცადინეობისა და ნიჭის ხარჯვით“. ფულბრაიტმა შემდეგ აღნიშნა: თუმცა საშუალო სიშორის ბირთვული ძალები ბირთვული არსენალების მხოლოდ მცირე ნაწილია, მაგრამ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების დადება „სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია“. „გამალებული შეიარაღება არა მარტო უნდა დავამუხრუჭოთ, — აღნიშნა მან, — არამედ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ორივე ქვეყანა მიაღწევს აგრეთვე პოლიტიკურ მორიგებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამხედრო დეესკალაციასთან ერთად განახორციელებს პოლიტიკური დაძაბულობის დეესკალაციას, შეამცირებს პოლიტიკურ კონფრონტაციას. მართალი გითხრათ, ვერ ვხედავ იმის ვერავ

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

საყრილობო ვერნისაჟი

არ შეიძლება რუსთაველის პროსპექტზე ჩაიარო და ნაბიჯი არ შეანელო მხატვრის სახლის წინ, უზარმაზარი მინებიდან არ შეიჭყიტო ვრცელ დარბაზში და არ დაინტერესდე, ვინ არის მისი დღევანდელი სტუმარი, რამ ჩაფიქრა ხელოვანი, როგორია მისი სულიერი სამყარო. გამოფენების სიხშირე და მრავალფეროვნება კი რა ხანი აღარ გვაოცებს. და მაინც, ეს დღე, როცა გაიხსნა გამოფენა „ყრილობიდან ყრილობამდე", რომელიც შეაჯამა საქართველოს მხატვართა შემოქმედებითი ხუთწლედების შედეგები, განსაკუთრებული იყო თავისი მოცულობითა და ხასიათით. დიახ, აქ წარმოდგენილია 450 ავტორის 600-ზე მეტი ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევარი, ქანდაკება თუ გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. ეს ექსპოზიციები კი შეირჩა უეიუროდ, რაც უჩვეულო მოვლენაა გამოფენების მოწყობის პრაქტიკაში.

მხატვრის სახლის სამ სართულზე განლაგებულია სახვითი ხელოვნების შედევრებიც და ახალი, პირველად წარმოდგენილი ნამუშევრებიც, რომელთა ავტორებიც ცნობილი მხატვრები არიან. დიდი ადგილი ეთმობა ახალგაზრდა შემოქმედთა ექსპონატებსაც.

ქართველი მხატვრების ამ ყველაზე დიდმა რეტროსპექტულმ გამოფენამ სრულად წარმოაჩინა ის ტენდენციები, რომლებიც ბოლო წლებში შეინიშნებოდა ქართულ სახვით ხელოვნებაში. ეს არის შესანიშნავი საჩუქარი, რომელიც მხატვართა ყრილობას მიეძღვნა.

გამოფენა „ყრილობიდან ყრილობამდე" ერთ თვეს გასტანს.

ᲐᲣᲚ ᲣᲨᲠᲝ კეთილმოწყობილი წდება ქართული სოფელი. ხელვაჩაურის რაიონის ახალსოფელში ამ ბოლო ხანს ბევრი პრობლემა გადაწყდა დადებითად. ჯერ იყო და

სოფელს შეეშალა

კოლმეურნეობის მრავალსართულიანი კანტორა და კლუბი. კლუბს აქვს ორი დარბაზი — 550-ადგილიანი სხვადასხვა ღონისძიებისათვის და 150-ადგილიანი — სათათბიროდ.

გარდა ამისა, მალე სოფლის ცენტრს დაამშვენებს სპორტული კომპლექსი დახურული მინეჯით, რომლის მშენებლობაზე 300 ათას მანეთზე მეტი იხარჯება.

აქამდე სოფელს სასმელი წყალი არ ჰქონდა. ხოფშის მთიდან სასმელი წყლის გამოყვანის სამუშაოებში, რომელსაც №5 მოძრავ-მექანიზებული კოლონა ასრულებს, მთელი სოფელი მონაწილეობს. მთის ანკარა წყალს ახალსოფლელები გაისად მიიღებენ.

ᲑᲔᲕᲠᲘ თაყვანისმცემელი მოვიდა გორის ბაბბიულის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების კულტურისა და ტექნიკის სასახლეში, სადაც გაიმართა

ფოლკლორის საღამო

რომლის წამყვანმა, პროფესორმა ვ. კოტეტიშვილმა მაყურებლებს წარუდგინა ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული მოლექსეები, მოზღერლები, მოცეკვავეები, მცირე თვითმოქმედი კოლექტივები.

ფოლკლორის საღამომ წარმატებით ჩაიარა.

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ესთეტიკური აღზრდისადმი შეუნელებელი უურადღების გამოხატულებაა თეატრალური ხელოვნების XIII რესპუბლიკური კვირეული

„თეატრი და ბავშვები",

რომელიც ხვალ იწყება და 30 ნოემბრამდე გასტანს.

კვირეულის პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესოა: გაიმართება სპექტაკლების ჩვენება-განხილვა, ლია გაკვეთილები, მუსიკალური საღამოები, მსახიობებთან შეხვედრები. თეატრალური ვიქტორინები და ა. შ.

• • •

ᲑᲐᲨᲣᲠᲘᲡ რაიონის ქვიშხეთის ყაბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის, ყურძნისა და ხილის დამზადების გეგმები.

ამ დღეებში აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ბოსტნეულსაცავი. ამ ახალ მაცივარში პირველი ბოსტნეული სწორედ მეურნეობის მშრომელებმა მიიტანეს.

1.000 ტონა ტევადობის მაცივარი აღჭურვილია უახლესი სამამულო დანადგარ-მოწყობილობით.

წლეულს ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობაში 3.000 ტონა ბოსტნეული დამზადდება.

„კომუნისტის" კორესპონდენტების, საკავშირო და საქართველორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა: გ. ხარებაშვილმა.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

ᲖᲚᲕᲘᲡ ᲙᲔᲘᲖᲐᲨᲘ.

გ. სოკოლოვის ფოტო.

ინტერვიუ

სპელეოლოგია ახალ მიჯნებს სახავს

ᲐᲛᲐᲡ წინათ გაიმართა სპელეოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა მთიანი ქვეყნების კარსტისა და მღვიმეების შესწავლის პრობლემებს. სიმპოზიუმში მონაწილეობდა 17 ქვეყნის 140 წარმომადგენელი. ნიშანდობლივია, რომ სპელეოლოგთა საერთაშორისო კავშირის აღმასკომის ბიუროს 10 წევრიდან რვა გვესტუმრა, მათ შორის კავშირის პრეზიდენტი, პროფესორი დერეკ ფორდი (კანადა), ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი ვლადიმერ პანოში (ჩეხოსლოვაკია), გენერალური მდივანი, პროფესორი ჰუბერტ ტრიმელი (ავსტრია), საპატიო პრეზიდენტი, პროფესორი ბერნარ ეეზი (საფრანგეთი), სსრ კავშირის სპელეოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე, პროფესორი ვიქტორ დუბლიანსკი და სხვ.

სიმპოზიუმი ერთ კვირას მიმდინარეობდა და მრავალფეროვან პროგრამას მოიცავდა.

სიმპოზიუმის მნიშვნელობაზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე ჩვენს კორესპონდენტს ნ. კლარჯეიშვილს ესაუბრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **ᲗᲐᲛᲐᲖ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ.**

— როგორც ცნობილია, სპელეოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი ხაბჭოთა კავშირში პირველად მოეწყო. რამ განაპირობა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი ფორუმის მასპინძლობა სწორედ საქართველოს ხვდა წილად?

— ჩვენი რესპუბლიკა მსოფლიოს ერთ-ერთი კლასიკური ძველაანა კარსტი განვითარებისა და მღვიმეთა სიმრავლის მხრივ. ჩვენში გამოქვაბულთა კლდეში კვეთის და ბუნებრივ მღვიმეთა სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ისიც საგულისხმოა, რომ მღვიმეები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უძველეს წყაროებში პირველად ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშია მოხსენიებული.

უკანასკნელ ხანს საბჭოთა სპელეოლოგიის სიმძიმის ცენტრმა საქართველოში გადმოინაცვლა. სულ სამიოდე წლის წინათ მოკლეული წყალტუბოს ულამაზესი მღვიმე, გაგრისა და ბზიფის ქედებზე აღმოჩენილი სიღრმით ჯერჯერობით დედამიწის მეორე-მესამე მღვიმეები, მსოფლიოში უღრმესი კარსტულ-ჰიდროგეოლოგიური სისტემა და, რაც მთავარია, ქართველ მეცნიერთა უკვე მეოთხედი საუკუნის მოღვაწეობა და თვალსაჩინო წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზე — აი, მოკლედ ის ფაქტორები, რომელთა გამოც გახდა საქართველო სპელეოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მასპინძელი.

— საბჭოთა მეცნიერებს შორის იყვნენ ქართული კარსტოლოგიურ-სპელეოლოგიური სკოლის წარმომადგენლებიც. რას გვეტყოდით მათი წვლილის შესახებ მეცნიერების ამ დარგში?

— ინტენსიური კარსტოლოგიურ-სპელეოლოგიური კვლევა-ძიებანი საქართველოში 50-იანი წლების მიწურულს დაიწყო, მაშინ, როდესაც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან აკადემიკოს ნიკო კეცხოველის თავმჯდომარეობით შეიქმნა სპელეოლოგიური კომისია (ამჟამად საბჭო), ხოლო ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტთან — კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის ლაბორატორია (ამჟამად განყოფილება). ქართველმა მეცნიერებმა განვლილ პერიოდში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მათი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია ის, რომ დღეს სახელგანთქმული ახალი ათონის მღვიმე გვაქვს, რომლის აღმოჩენისა და შესწავლისათვის ჩვენი ინსტიტუტის სამ თანამშრომელს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ქართული სპელეოლოგიის სკოლის წარმომადგენლები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ბელგიაში, ინდოეთში, ავსტრალიაში, ალჟირში, ავსტრიაში, ბულგარეთში, ინგლისში, ესპანეთში, ირანში, ავღანეთში, ინდონეზიაში, ირლანდიაში, ესპანეთში, ბრაზილიაში, ბელგიაში, ბულგარეთში, ინგლის